

# საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე უ რ თ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

### მ ი ნ ა ა რ ხ ი :

მეთაური—სომხეთი კავკასიაში.  
 სომხური პრესა.  
 მძიმე უღლის ქვეშ მყოფ ერის ტრადიცია.  
 ჩვენი ეროვნული დღეობა.  
 ი. ხალაყაია—წყნარ ოკეანეს პრობლემა.  
 უცხოეთის მიმოხილვა.

ა. ჟღერქლოიანი—დიდი ლტოლვილი.  
 ბ. გაკაბაძე—კომუნისტები საქართველოში.  
 ქართული ოფისის ირგვლივ.  
 26 მაისი პარიზში.  
 ნაუტი—წერილი ამერიკიდან.  
 ვ. ქავთარაძე—წერილი რედ. მიმართ. და სხვ.

### ს ო მ ხ მ თ ი კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

სომხურ პრესაში, ქვევით, მკითხველი გაეცნობა ზოგიერთ მეთაურს სომხურ საზღვარ-გარეთელ გახეთუბიდან და უთუოთ შეამჩნევს ერთ გარკვეულ მიდრეკილებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი დაუპირდაპიროს სომხეს. ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ პატრიცემულნი ავტორნი არ არიან კმაყოფილი სამშობლოს დღევანდელი მდგომარეობით, ყოველ მათ სტრიქონს ღრმა პესიმიზმის დალი ასვია,—და ეს არაა სულაც გასაკვირი, თუ გავიხსენებთ სომხის ერის საშინელ თავგადასავალს ამ ოცი წლის გასწვრივ. განა მოიპოვება ჩვენს შორის ვინმე, მთელის არსებით რომ არ თანაუგრძნობდეს ისტორიულათ ასე დაკავშირებულ მოძმე ერს?

მაგრამ სწორეთ აქ გვაწყვეტინებენ სიტყვას მეთაურთა ავტორნი, არ სჯერათ ჩვენი არა თუ თანაგრძნობა, თვით გულწრფელობაც! აი ზოგიერთი ნიმუში. გაზეთი «უხაბერ», 26 აპრილს, სწერს: «აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი 1935 წელს უხდა შეიცავდენ 7.840.519 სულს 185.457 ოთხკუთხედ კილომეტრზედ; აქედან სომხეთს მოუწევს სათანადო ციფრიდან 15,5 და 16,1 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანს და საქართველოს ერთათ—85,5 და 83,9 პროცენტი», და ასკვნის: «ჩვეულებრივ სუსტთ არა ჰყავთ მეგობრები. ამის წყალობით ამიერ-კავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება მიმდინარეობდა უმთავრესათ ქართველ-თათართა მეგობრობის

ნიშნის ქვეშ». უფრო ადრე, 19 აპრილს, იგივე «უხაბერ» სწერს: «თათარ-ქართველთა ბლოკი, მიუხედავთ სომხეთა ძალიან საგრძნობ ზრდისა, თავისი ეკონომიური პოლიტიკით და მიდგომილი დამოკიდებულებით აჩერებს სომხეთა განვითარებას, და არ კმაყოფილდება რა მათი პროვინციების შემოერთებით, მშვიდობიანი გზით განაგრძობს იმასვე, რასაც სხვები სისხლით და აკლებით აკეთებენ». გაზეთი, სხვათა შორის, ემყარება ვინმე კორკოტიანის გამოთვლას, რომლის მიხედვით «ერევნის ბოლშევიკებმა ჩაასახლეს სომხეთში 66.938 მაკმადიანი, 28.447 სხვა არასომხენი და იქიდან გააძევეს 6.329 სომხი». მეორე გაზეთი «აირენიკ», 30 აპრილის, ეხება რა ტერგაბრიელიანის და ზოგ სხვა მოხელეთა დათხოვნას სომხეთში, განმარტავს: «ცხადია, ქართველები და თათრები, ისე როგორც მათი დიდი ბატონი სტალინი, ვერ ითმენენ ისეთ მოხელეთ, რომელნიც პროტესტს აცხადებენ მათი უსამართლობის წინამდევ სომხეთის მიმართ და პრეტენზია აქვთ სომხის პროვინციებზე: ყარაბახსა და ახალქალაქზე...»

ამრიგათ, ისეთ შთაბეჭდილებას მიიღებთ, ვითომ თათრები და ქართველები ნამდვილ შეთქმულობას უწყობენ სომხებს! ნუ დაივიწყებთ, არც ერთ მეთაურში არაა უბრალო შენიშვნაც გაკეთებული, რომ ის, რაც მიეწერება მოსკოვის მედროვეთ და მათ ყმებს კავკასიაში, არასგზით არ მიეწერება საზოგადოთ ქართველებს, თათრებს და სომხებს, როგორც



ასეთებს. ვსთქვათ, სომხის ავტორებს მხედველობაში ჰყავდათ სამივე ერის უღირსნი შვილნი—ბოლშევიკები, მაგრამ განა მათი პირდაპირი მოვალეობა არ იყო ამ არამზადებისაგან გაემიჯნათ თვით ერნი? განა მათ არ იციან, რომ თათრები და ქართველები იმავე მძიმე უღლის ქვეშ გმინავენ, რომელშიც სომეხნი, და, მაშასადამე, მათ არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეაკისროთ?

ჩვენ არაერთხელ გვსმენია და სწორათ შემოუჩინვლიათ კიდევ საქართველოდან წაგიერთ სომხის ბოროტ როლზე ჩეკა გეპეუმი, კომუნისტურ პარტიაში თუ სამეურნეო დაწესებულებებში, მაგრამ არასდროს არ მოგვსვლია თავში სომხის ერთი დაგვესვა ამისათვის დამნაშავეის სკამზედ. მტერი რომ სარგებლობს რომაელების მოწამლულ იარაღს: «დანაწილედ და იბატონე», ცხადია, მაგრამ სრულიად დაუშვებელი იქნებოდა კავკასიის პატრიოტები აგებოდნენ ამ ანკეს და მოერთოთ ღრიალი: გვიშველეთ, მეზობლები გვიტყვენო. ეს ხომ ისტორიულათ მართალიც არ იქნებოდა, რადგან სწორეთ სამივე ერის გოვსობა კიდევ გუშინ ხელისხელ ჩაქიდებული უტყვდა საერთო მტერს. აბა სცადეთ გამენახოთ სულ მკრთალი კვალი ამ ღირსშესანიშნავ ბრძოლებზე სომხურ მეთაურებში,—ამაღ გარჯა!

სამაგიეროთ იქ ყოველ ნაბიჯზედ სჩივიან ავტორები საზღვრების უსამართლოთ გადამიჯვნაზე სომხების საზიანოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში პირდაპირ მაინც ასახელებენ დამნაშავეთ, სტალინის მეთაურობით. «უსაბერი» უფრო გარკვევითაც ამბობს: «საბჭოთა ხელისუფლებამ წაგვართვა ჩვენი უღაო მიწები (ჩამოთვლილია) და გადასცა ისინი თათრებს და ქართველებსო». ჩვენ კი გვეგონა სულ წინამდებე: მან ჩამოსურა საქართველოს ცოცხალ სხეულს მოზრდილი ნაწილები და შეუერთა სომხეთს, ანერბაიჯანს და ოსმალეთს, მაშასადამე, კმაყოფილი არც ქართველები ვართ. «არაჩ»-ს, 12 მოაქვს ოსმალეთის ერთი ყოფილი მინისტრის სიტყვები, რომ სურმალუს მაგიერ, რომელიც სომხებს წავართვით, ბათუმი ქართველებს გადაეცითო. საკვირველია, რომ ამ სიტყვების მომტანი ვერ ამჩნევს, რა სიყალბე ჩაუდენია მის მოწმეს. ნუ თუ არ იცის მან, რომ ჩვენი ეროვნულ უბედურების მარტის დღეებში ქართველმა მსედრობამ თავის სისხლით მორწყა ბათუმის ქუჩები და თურქები იარაღით გარეკა იქიდან? ამრიგათ, ბათუმი საქართველოს ფარგლებში იყო, როცა ის მტერმა (წითელმა ჯარმა) დაიკავა.

მაგრამ რა აწრი აქვს დღეს საზღვრებზე დავას, როცა თვით შუაგულიც, მთელი ტანი მტრის ხელ-

შია? ჩვენ ვიცით, რა თქმა უნდა, რომ დავა არსებობს საზღვრებზე, მას გადაჭრა ესაჭიროება, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, სანამ ერნი სხვის მონობაში იმყოფებიან. დღეს წეს რიგში სდგას ქვეყნის განთავისუფლების და არა საზღვრების კითხვა. 10 ივნის 1921 წელს კავკასიის ოთხივე ერის კანონიერმა წარმომადგენლებმა ხელიც მოვაწერეთ საგანგებო დეკლარაციას, რომლის ძალით საზღვრების დავა უნდა გადაეცეთ სავალდებულო არბიტრაჟს. ჩვენ, ქართველები, დღესაც ამ აწრისა ვართ, ვიმედოვნებთ, რომ მეზობლებიც არ წაილებენ უკან თავის სიტყვას, მაშასადამე, დროა ბოლო მოეღოს უცხოეთში ამ საგანზე უმართებულო საყვედურებს და ურთიერთ დამოკიდებულების ხელოვნურათ გამწვავებას.

ჩვენ გვმართებს არა დავა და გამწვავება, არამედ მეგობრობა და თანამშრომლობა. საუბედუროთ, სომხის მეთაურნი ემიგრაციაში ჯერ კიდევ არ სდგანან კავკასიის სამ დანარჩენ ერის მეთაურების გვერდში, ისინი ჯერ კიდევ ამჯობინებენ ორ ფრონტზე ბრძოლას, ან კიდევ ოპოზიციას. დაშნაკელების პასუხისმგებელი ორგანო «არაჩ» ასე გამოხატავს თავის პოლიტიკას, 22 მარტს: «ჩვენი პარტია, იმყოფება რა ოპოზიციაში, განაგრძობს თავის იდეოლოგიურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებასთან, და იწვევს ბოლშევიკ-სომხებს სიფხიზლისკენ. უყვანებს რა მათ ორ მოთხოვნილებას: იმიგრაციას და ამშენებლობას». ეს ამონაწერი, როგორც ხედავთ, ამომწურავ, ახსნას იძლევა, თუ რატომ არ ეწყობა ჩვენი და სომხების თანამშრომლობა. ქართველები, ანერბაიჯანლები და მთივლნი რევოლუციურ ეროვნულათ ვუდგებით კითხვას, პასივური «ოპოზიცია და იდეოლოგიური ბრძოლა» წყლის ნაყვად მიგვანჩნია, რაც შეეხება ჩვენს მუცელზედ მლოდავ ბოლშევიკებს, მოსკოვის ტიკინებს, სასაცილო იქნებოდა მათგან რაღაც «ამშენებლობა» მოგვეთხოვა. არა, აქტივური შეუპოვარი ბრძოლა მტარვალდებთან, ამისათვის ძალთა დარაზმვა თვითვედ ერის და მთელი კავკასიის ფარგლებში—აი ჩვენი ლოზუნგი. ამ ლოზუნგს მიყვებიან სომხებიც ადგილობრივ, როგორც ზევით ვახსენეთ.

დასასრულ, ერთი სანუგეშო მოვლენაზეც უნდა მივუთითოთ მკითხველს: თითქმის ყველა მეთაურებში ამოიკითხავთ საყვედურებს მოსკოვის მიმართ, რომელმაც გასცა სომხის ერი. «არაჩ», 30 აპრილს, სწერს: «წითელმა რუსეთმა ყველაზე კრიტიკულ წუთში ამჯობინა გაყოლოდა ძლიერს (ოსმალეთს) და ღვთის ანაბარა დასტოვა უძლიერი» (სომხეთი). ჩვენ გვეგონია, რომ «ძლიერი» დღეს, ისე რო-



გორც გუშინ, მოსკოვია, ხოლო ანკარა—«უძღურით» და მისი ამყალი. ამიტომ სომხების და ჩვენი, კავკასიის ოთხივე ერის ისრები უნდა დაემიზნოს «ძლიერს», ეგაა სწორეთ. ჩვენს ერებს მაჯლაჯუნად რომ აწევს და უქადის მათ განადგურებას, გადაშენებას.

მოვაგონებთ ჩვენს მოძმეთ, რომ სომხეთი კავკასიაშია და კავკასია—რუს იმპერიალისტების ტყვეობაში. აქედან დასკვნა არც ისე ძნელი უნდა იყოს: სომხებს, ისე როგორც დანარჩენ სამ ერს, გვმართებს ერთათ დვომა, ერთათ ბრძოლა საუკეთესო მშველსისთვის.

ჩვენ არ ვფიქრობთ საქირო იყოს ფიცი, რომ ქართველები არასოდეს არ შეეკვირან აზერბაიჯანლებს სომხების წინამდევ, ისე როგორც ისინი არ შეეკვირან სომხებს აზერბაიჯანლების წინამდევ. სხვა არ იყოს რა, ეს მარტივი ანგარიშის კითხვაა. საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, მისი ისტორია, მისი აწმყო იმპერატიულათ უკარანებს მის შვილთ სრულიად ერთნაირ მეგობრულ განწყობილებებში იყვენენ სამივე მეზობელთან.

მაგრამ რად უნდა დავმალოთ, რომ სომხებთან ჩვენა გვაქვს ბევრი სხვა რამ საერთო, რომლის ფესვები იკარგვის წარსულის წყვიდადში და დღესაც აპოხიერებს ორთავეს სულიერ კულტურას. სომხები და ქართველები, ერთის მხრით, აზერბაიჯანლები და მთიულნი, მეორეს მხრით, კავკასიის მთლიანობის, მისი წონასწორობის და აქედან მოსავალ კონფედერაციის ორი დედა ბოძია. შეგიძლიათ შეებრძოლოთ ამ დედა-ბოძთ, უიმედლა მისი დაძვრა.

### ს ო მ ხ ე რ ი ვ ა მ ს ა

«შაირენიკ», 16 მარტი: რას ამბობენ ფაქტები (მეთაური).

«შესაძლებელია თურქეთ-ბოლშევიკების შეგობრობა არ იქნებოდა ისე სამძიმო თავისუფლების მოყვარე სომხის ერისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ცოტათი მინც აკმაყოფილებდეს სომხთა სურვილებს. ამ შემთხვევაში მოითმენდა ადამიანი საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც არაა სომხეთის ეროვნული მთავრობა.

სამწუხაროთ, 15 წლის მწარე გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ბოლშევიკები არასოდეს ცთილან, რომ თურქებს რამე დაეთმოთ სომხეთისა და სომხების სასარგებლოთ. ხამაგიეროთ, თურქებმა ყოველი შემთხვევა გამოიყენეს, რათა აქმულეზინათ თავისი მეგობრები ბოლშევიკები დათმობებზე სომხების საზიაროთ.

თურქეთის «მეგობრული» ჩარევის გამო მოხდა, რომ გეოგრაფიულად აზერბაიჯანისთვის უცხო და

სომხეთზე მიკერებული ნახიჩევანის მაზრა შეუერთეს აზერბაიჯანს იმის ნაცვლად, რომ შეეტანათ საბჭოთა სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებში. ანკარისვე გაგლენის წყალობით უკუგდებულ იქნა დიდი გეგმა სარდარანათის ველის მოსარწყავად და სომხე გარდასვეწილთა იმიგრაცია შეჩერებულ იქნა განუსაზღვრელ ვადამდე.

თურქეთის გულისათვის ბოლშევიკებმა ხელახლა ჩაასახლეს სომხეთში თათრები, რომელნიც იქიდან გახიზნული იყვენენ დამოუკიდებლობის დროს. იმისთვის, რომ ესამოვნებიათ თურქეთისთვის, ბოლშევიკებმა სომხეთის მთავრობაში შეიყვანეს თათრები, რომელთა ვერაგულ წინამდევობით მოხდა, რომ სომხების ყარაბახი მიაკუთვნეს აზერბაიჯანს, თუმცა და ბოლშევიკებს საჯარო აღთქმა ჰქონდათ დადებული, რომ სომხეთს დაუბრუნებდენ. ანკარის საერთო თურქული გეგმის წყალობითაა, რომ განჯა, რომელიც წინად სანახევროთ სომხებით იყო დასახლებული, დღეს წმინდა თათრული ქალაქია, სადაც სომხები სრულებით არ ცხოვრობენ.

მკითხველებს კარგად ახსოვთ უფუოდ ის სამარცხვინო როლი, რომელიც ბოლშევიკებმა ითამაშეს ლოზანაში, სადაც ყოველი ღონით დაეხმარენ თურქებს, რომ დაემარხათ თურქეთ-სომხეთის საკითხი.

ცხადია, ბოლშევიკებს რომ მოენდომებიათ ცოტათი მინც თურქეთის მეგობრობის გამოყენება სომხების სასარგებლოთ, მათ შეედლოთ ზოგი რისმე მიღწევა, მაგრამ როგორც ვსთქვით, 15 წლის თურქეთ-ბოლშევიკების დაახლოვებამ მხოლოდ ვნება მიუტანა სომხებს და სასარგებლო კი იყო თურქეთისთვის. უეჭველია ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ასეთ პირობებში იყო და იქნება უარყოფითი».

იგივე გახვით, 30 აპრილი: მოსკოვის ახალი ინტრიგები სომხეთში.

ერთი ამერიკული განხეთის თანამშრომელი აგვიწერს, თუ როგორ სდევნიან კვლავ სომხეთში «სომხენაციონალისტებს». შეიძლება ვინმემ იფიქროს, რას აქ ნაგულისხმევია დაშნაცაკანები. რასაკვირველია, ეს ასე არაა. ზომებია მიღებული იმ სომხის ბოლშევიკების წინამდევ, რომელთაც ნაციონალისტურ გადასრებს აბრალდებენ.

ამას გარკვევით ამბობს სომხეთის ც. კ. მდივანი ავასი ხანჯიანი ვახეთ «ზ. ვოსტოკაში». როგორც ამ განცხადებიდან სჩანს, საბჭოთა ხელისუფლება არ დაკმაყოფილდება ტერ-გაბრიელიანის და ზოგიერთ სხვა «ნაციონალისტურად განწყობილ» მოხელეების გადაყენებით; ამას მოყვება ფართო გაწმენდა და დანიშნა თანამდებობებზე უფრო საიმედო სომხე ბოლშევიკებისა, რომლებიც ბრძალ შეასრულებენ მოსკოვისა და რეჟიმის დირექტივებს.

ცხადია, ქართველები და თათრები—და მათი დიდი ბატონი სტალინი—ვერ ითმენენ სომხეთში ისეთს სომხე მოხელეებს, რომლებიც ეწინამდევებიან უსამართლობას სომხეთის მიმართ, პრეტენზიებს აცხადებენ სომხურ პოლიტიკებზე—ყარაბახსა და ახალქალაქზე და მოითხოვენ, რომ ამიერ-კავკასიის ბიუ-

ჯეტის შედგენის დროს სომხეთი არ იჩაგრებოდას. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ტფილისსა და მოსკოვს უნდათ, სომხეთში ხანჯიანის მსგავსი უნებისყოფა მოენები ყავდით. და რათა მოხსენებები ერთგულად მსახურებდნენ ტფილისსა და მოსკოვს, მათ მეთვალყურეებად ერეგავნი სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარეების მოადგილეებად მალამეტოვებს უნიშნავენ, რომელთაც ყველაფერი უნდა აუწყონ ცენტრს».

«უხაბეშ», 19 აპრილი: სომხეთის აღწერის გარშემო (წერ. ვადალიანისა).

«სამი წლის შემდეგ მცხოვრებთა რიცხვის რაოდენობით საქართველომ პირველობა აწერბაიჯანს უნდა დაუთმოთ, რადგან მისი გამრავლების დონე სუსტია ძლიერ. უნდა აღვნიშნოთ, როგორც საერთო დასკვნა, რომ მიუხედავად დიდი ხმაურობისა ინდუსტრიალიზაციის შესახებ, ბაქო და ტფილისი ისევ წუწუნაინ ჩვენს ქვეყანას მის სასიცოცხლო ძალებს და ამავე დროს გრძელდება ემიგრაცია სომხეთიდან. სტატისტიკური ცნობები, ჩვენი ინტერესის თვალსაზრისით, მეტად დამაღონებელია. ამიერკავკასიის მცხოვრებთა რიცხვა 1932 წ. შედარებით 1913 წელთან იმატა 27,1 პროცენტით, კერძოდ სომხეთისამ კი მხოლოდ 6,4 პროც. სომხეთი რომ გერი არ იყოს ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და არ იყოს დაჩაგრული ეკონომიურად, მისი მოსახლეობა 1932 წ. უნდა აღწევდეს 1.325.653 და არა 1.109.200, თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა გამრავლებას. ხოლო თუ ვიხელომდვანელებთ სომხის მოსახლეობის ზრდას 1925-32 წლ., განსხვავება იქნება 170 ათასი. ეს ციფრები საკმაოდ გვარწმუნებენ, რომ თათარ-ქართველთა ბლოკი, მიუხედავად სომხის მოსახლეობის ზრდისა, თავის ეკონომიური პოლიტიკით და უსამართლო მოპყრობით აბრკოლებს სომხების განვითარებას; იგი არ დაკმაყოფილდა სომხურ პროვინციების მითვისებით და მშვიდობიანი გზით აკეთებს იმას, რასაც სხვები აკეთებდნენ სისხლითა და ხოცვით».

«უხაბეშ», 20 აპრილი: სომხეთი (ჩვენი ადგილი ამიერ-კავკასიაში).

«ამიერ-კავკასიის ერთად—აწერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის—მცხოვრებთა რიცხვი 1935 წელს უნდა შეადგენდეს 7.840.519 და ტერიტორიის სივრცე 185.457 ოთხკუთხ კილომეტრს.

ციფრები ადასტურებენ, რომ სომხეთს როგორც სივრცით ისე მცხოვრებთა რაოდენობით უკანასკნელი ადგილი უკავია. ჩვენ გვეკუთვნის ტერიტორიის 16,1 პროც. და მცხოვრებთა 15,5 პროც. ხოლო აწერბაიჯანს და საქართველოს ეკუთვნით 83,9 პროც. მიწაყლისა და 85,5 პროც. მკვიდრთა.

საზოგადოთ უძღურს მეგობრები არა ყავს. ამიტომ ამიერ-კავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება უმთავრესად მიმდინარეობდა თათარ-ქართველთა მეგობრობის სახით. არ გვაქვს საბუთი, რომ უკეთესს მოველოდეთ მომავალში. უნდა ვიფიქროთ, რომ კვლავაც, განსაკუთრებით პოლიტიკური აღრევის დროს, ჩვენ დავვიპირისპირდება თათარ-ქართველთა ბლოკი, ე. ი. თუ ისტორია არ გვი-

მზადებს რასმე მოულოდნელს. ჩვენ ვიქნებით ჩვენი მცხოვრებთა 16,1 პროცენ. და ჩვენი ტერიტორიის 15,5 პროც., წინამდევ 83,9 და 85,5 პროცენტისა.

შეუძლებელია ამ ციფრების ახსნა. მათ არ შეუძლიათ პროტესტი არ გამოიწვიონ უკიდურეს მშვიდობიან ადამიანშიაც კი. სომხეთი თანასწორი იყო თანასწორთა შორის, დღეს კი ის უკანასკნელთა უკანასკნელია.

საბჭოთა ხელისუფლებამ წაგვართვა ჩვენი უდავო მიწები (ახალქალაქი, მთიანი განჯა, ნახჩივანი, მთიანი ყარაბახი, ბორჩალო და სხ.) და გაუნაწილა თათრებს და ქართველებს. ამავე დროს გამოგვლიჯა ხალხი და გაფანტა იგი მთელ კავკასიასა და სხვა ადგილებში...

სომხური ადგილები (ვგულისხმობთ აწინდელს ამიერ-კავკასიას) მოგვლიჯეს და გადასცეს არა თურქეთს ან სხვა უცხო სახელმწიფოს იარაღის ძალით და პაქტის საშუალებით; არა ეს ადგილები წაგვართვეს და გადასცეს ამიერკავკასიის ერებს—თათრებს და ქართველებს. ერთად ერთი ავტორი ამ უსამართლობისა არის მოსკოვი—უმალესი აბიტირი ამიერ-კავკასიელ ერებისა. მოსკოვის დირექტივებით დანაწილეს სომხეთი იმ განზრახვით, რომ ერთმანეთს გადაამტერონ ამიერ კავკასიის ერები. დღესაც აღრმავებენ იმ სამარეს, რომელიც გათხარეს 1917 წელს ბრესტში».

«არაჩ», 22 მარტი: მეთაური.

«დამნაცუტუნის პარტია, რომელსაც თავისი განსაკუთრებული შეხედულებანი აქვს ბოლშევიკებსა და სომხეთის დღევანდელ სახელმწიფო წყობილებაზე, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მოთხოვნილებების და პერსპექტივების შესახებ.—წინაყენებდა საკითხებს მომენტის საკიროების მიხედვით.

ჩვენს პარტიას თავისი საერთო ხაზი აქვს, იგი ოპონიციშია და განაგრძობს იდეოლოგიურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინამდევ, მოუწოდებს სომხის ბოლშევიკებს სიფინიზლისათვის და ორს რასმე მოითხოვს მათგან: იმიგრაციას და აღმშენებლობას.

ორივე ეს მოთხოვნა, სამწუხაროთ, ისეთ პირობებშია, რომ ჩვენ აქტივური მოხაწილეობის მიღება არ შეგვიძლია.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიგრაციას და უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდის ბოლშევიკების ხმაურობა ვერ გასცილდა დაპირებებს და რაც გაკეთდა, მეტად მცირეა შედარებით იმასთან, რის გაკეთება შეიძლებოდა, და რასაც მოითხოვდა ქვეყნის ინტერესი. აი მაგალითად ჯარის კაცთა და სპეციალისტთა საჭიროება განა არ მოითხოვდა, რომ თავი მოუყარონ მთელ დედამიწაზე გაფანტულ ჩვენს ახალთავობას?»

«არაჩ», 12 მაისი: მეთაური—«ჩვენ მოვითხოვთ და მივიღებთ».

«თურქეთის განათლების ყოფილმა მინისტრმა ბაი იკმენმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ თურქებმა რუსეთისაგან მივიღეთ ყველაფერი, რასაც მო-

ვითხოვდით, ხოლო მცირე შესწორებით—ბათუმის მაგიერ იგდირზე დაეთანხმდითო.

მოსკოვის მსვირალა რევოლუციონერებმა ვერ გადაარჩინეს ისტორიული ღირებულების ანისის ნანარკეებიც კი და თურქეთის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილეს, განსაკუთრებით სომხეთის ხარჯზე.

ყოფილმა მინისტრმა არ გაიხსენა, რომ იგდირს (სურმალას) ისინი თავიდანვე მოითხოვდნენ. ცხადია, ყარსის გამარჯვების შემდეგ თურქებს დიდი მადაჰქონდათ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ როცა ქართველებს შეეხსოვრა, ლექტორმა სთქვა: «ჩვენ მოვითხოვეთ ყარსი, არტაანი და ბათუმიო». ხოლო რადგან ქართველები, განსაკუთრებით რუსები წინააღმდეგ ამ მოთხოვნილებას, გაიმართა ვაჭრობა სომხეთის ხარჯზე და თურქებმა ბათუმის ნაცვლად იგდირი მიიღეს...

ამის შემდეგ ბოლშევიკურ ხელისუფლების დამკვიდრებლები ბედავენ და ვაკვივიან მთელ დედამიწაზე, რომ სომხეთი არასოდეს ყოფილა ასე დამოუკიდებელი და აყვავებულიო!»

**მიმი ულის ძველ მკვლევარს მისი ტრადიციის შესახებ**

საერთაშორისო ომმა სამწუხაროთ ყველა ერს არ მოუტანა ასე მოწყურებული თავისუფლება. ევროპა-აზიის საზღვრებზე ბინადრობს მაგალითად ერი, რომელიც დღემდის გმინავს უცხო ულის ქვეშ. ეს არის საქართველო, ქვეყანა მზის და უმშვენიერესი ლეგენდების, სადაც ბინადრობს ერი, მართალია დასავლეთ კულტურას დამორბეული\*\*), სამაგიეროთ მდიდარი კეთილშობილურ რაინდულ ალტყინებით და გატაცებით შეყვარებული საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე.

საქართველოს ისტორია მოგვაგონებს პოლონეთის მარტიროლოგიას, არა იმდენად საკუთარ შეცდომების შედეგებით, რამდენად თავის გეოგრაფიული მდებარეობით; საუკუნეთა განმავლობაში დაგლეჯილ იქნა საქართველო სპარსეთ-სათათეთის მიერ. 1796 წ. მეფე ერეკლემ, მართალია, განდევნა სპარსელები ოკუპაციის ქვეშ მყოფ საქართველოს ნაწილიდან, მაგრამ სამწუხაროთ 5 წლის შემდეგ რუსები აცხადებენ იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, ხოლო 10 წლის ბრძოლების შემდეგ იძულებულია ქედი მოიხაროს ამ ქვეყნის დასავლეთ მხარემა.

მთელ რიგ წლების განმავლობაში საქართველო უცხო ულიდან განთავისუფლების იმედით სულდ-

გმულობდა,—სასალო აჯანყებათა ჯაჭვი, რომელშიაც მონაწილეობას ლეზღობდა ერის ყოველი წრე—გრძელდებოდა მთელ ამ ტყვეობის და ტანჯვის ხანაში. თვითველ ასეთ შემთხვევაში მტერი უღმობელოდ უხეში ძალით და ტერორით ანადგურებდა ამ ტანჯულ ერის ასეთ გმირულ ალტყინებას და ხვალინდელ თავისუფლების მომდინარე იმედი ქრებოდა ამ ტლანქი ძალის წინ.

მხოლოდ 26 მაისს 1918 წ., როდესაც ვილსონის უმაღლესი ლოზუნგები ერთა თვითგამორკვევის უფლებისა ფაქტად იქცა, ჩამოკრა საქართველოს თავისუფლების ზარმაც და საქართველო სწრაფად შეუღდა კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას.

სამწუხაროთ დიდხანს არ უსარგებლია ქართველ ერს ეს თავისუფლება. კვლავ მონობის უღელი დაადვეს ამ ქვეყანას, რომლის დამოუკიდებლობის ცნობა მოასწრო მთელმა კაცობრიობამ.

ამ ხნიდან შეუწყვეტლად ოცნებობს და იბრძვის ქართველობა დაკარგულ თავისუფლების აღდგენისათვის.

**ჩვენი ეკონომიკური ღონისძიება**

სათანაგრძნობლ მანიფესტაციები ყენევაში

კალენის რესპუბლიკის მოქალაქეთ არ უყვართ კვირა-უქმე დღეს ყენევაში დარჩენა, ამ დროს სხვა რაიმე კრებაზე ან საღამოზე გატარება, გარდა მეგაკურსისა და თავიანთ ნათესავების ან ნაცნობ ეგებობების ნახვისა. ამიტომ საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურმა კომიტეტმა საჭიროთ დაინახა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სადღესასწაულოთ სხვა თარიღი აერჩია და არა 26 მაისი, რომელიც წელს სწორეთ კვირა დღეს მოხვდა. სამაგიეროთ მან ერთის მაგიერ ორი დღესასწაული გამართა და ორივე ბრწყინვალედაც ჩაატარა: ორივე ქართველი ერისადმი დიდი თანაგრძობის მანიფესტაციებად გადაიქცა ამ საერთაშორისო ცენტრში, რაც მით უფრო დიდ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში დაშვებას მთელი ატმოსფერის გაყალბება მოყვა.

პირველი საღამო 28 მაისს გაიმართა, უფრო შინაურული წესით, საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტის და მისი ასოციაციის წევრთა მიწვევით ოტელ მეტროპოლოში, სადაც მიპატიუებულ იყვნენ მხოლოდ ზოგი საპატივო პიროვნებები, მაგალითად, ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ინტერნაციონალური კავშირის გენერალური მდივანი ბ. რიუისენი, სომხების მეგობართა ინტერნაციონალურ ლიგის თავმჯდომარე ბ. კრაფოდ ბონარი, რამდენიმე ცნობილი უკრაინელი და სომხები.

კრება გაიხსნა შვეიცარიის კანტონების წარმომადგენელთა საბჭოს წევრის ალბერტ მაღვის აღგზნებული სიტყვით, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის და მამასადამე კრებისაც. იგი მიესალმა ზემოხსენებულ სტუმრებს და ჩვენს თანამემამულეთ,

\*) პოლონეთის მხედართა ორგანო «პოლსკა ზბროინა» 25 მაისი 1935 წ.

\*\*) ავტორი აღბად საკმაოდ არ იცნობს საქართველოს, რომელსაც სწორეთ დასავლეთის კულტურამ ღრმა კვალი დაამჩნია.

რომელიც საფრანგეთიდან მოვიდნენ, რათა მათი ხალხური სიმღერებით და ცეკვით ქართული ხელოვნება ერგენებით უცხოელებისათვის; მსურველ საღამოთ მიმართა მეტროპოლ ქართველ ერს და მის წინამძღოლებს, კერძოდ იქვე მყოფ მისი უფლების დამცველს ხ. შავიშვილს, რომელიც ბრძოლას ღირსეულად განაგრძობენ და, გაცნო რა კრებას საღამოს მიზანი, გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ ყველაფერი ეს უმნიშვნელოთ არ ჩაივლის და ერთ დღეს უუძველად დაპკრავს საქართველოს განთავისუფლების უსათო მოიპოვებსო».

შემდეგ ილაპარაკა ჩვენმა დიდმა მეგობარმა, «ყურნალ დე ქენევის» დირექტორმა უან მარტენმა. ჩვენი საქმის ჩვეულებრივი ერთგულების და გამარჯვების იმედის გამოთქმის შემდეგ, ვრცლად შეჩერდა ქართულ ხელოვნებაზე, რის საუცხოვრო ცოდნა გამოიჩინა და დაასკვნა: «ერი, რომელიც თავის საუნჯეს, ხალხურ ხელოვნებას, ასე ხელუხლებლად ინახავს, უკვდავია, მისი ხანგრძლივი დამონება შეუძლებელია, ის თავისუფლებას, ადრე თუ გვიან, უსათო მოიპოვებსო».

მარტენის სიტყვის გათავებისა თავმჯდომარე მალემა მიმართა შავიშვილს ეთქვა სიტყვა, რომელმაც უპასუხა: «სიამოვნებით, მაგრამ იქნება ჩვენმა მეგობარმა ედვარ მილომ ინებოს თავისი გრძობიერი სიტყვით გვასიამოვნოს. კეთილ ინებეთ სთხოვოთ». მალე მიმართა მობრუნდა მილოსაკენ, რომელიც მდგომარეობა მდგომარეობის დამხმარე და მის დასათანსებლად სალაპარაკოთ მომზადებული. მილომ მისი ამოღებაც არ დააცალა, სწრაფად წამოხტა აღვლებული და დაიწყო: «განა შემიძლია სიჩუმე ასე სიმპატიით განხურებულ ატმოსფეროში? პირიქით, დიდად ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ შეძლება მეძლევა ჩემი დაგუბებული გრძობები და ახრი, რომელიც მახობენ, აქვე დაუყონებლივ წარმოვსთქვათ», რის შემდეგ წარმტაც მქერმეტყველებით წარმოსთქვა დიდი პოლიტიკური სიტყვა, სადაც ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო უმწეო მდგომარეობას და დაასკვნა: «დღეს მთელი კაცობრიობა ტრალიკულ მდგომარეობაშია, ამ მდგომარეობას წინ წაუძღვა საქართველოს ტრადედია და კაცობრიობა ვერ გათავისუფლებას საქართველოს გაუთავისუფლებლობა».

კრებამ დიდის ყურადღებით და მღვლეარებით მოისმინა ეს სიტყვა და ხანგრძლივი ტაშის ცემითაც დაადასტურა. თავმჯდომარე კვლავ დაუბრუნდა შავიშვილს, რომელმაც მადლობა გამოუცხადა სამვე ორატორებს და აგრეთვე ჩვენს თანამემამულე მომღერალ-მოცეკვართ, რომელმაც ყოველივე დამტკობლება ვადალახეს და მოვიდენ საფრანგეთიდან, რითაც ხელი უეუწყვეს ამ საღამოს მოწყობას და განაცხადა: «ბევრი ცვლილებები, ბევრი გადაჯგუფგადმოჯგუფება და პოზიციის მიტრება მხსდა უკანასკნელ წანებში, შეიძლება ითქვას, მთელი ქვეყნიერება შეიცვალა, მაგრამ უცვლელად დარჩა ქართველი ერის პოზიცია და ნებისყოფა თავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მიუხედავით იმისა, რომ ის ძალიან დაამწუხრა კაცობრიობის

ასე ჩამოქვეითებამ და საერთაშორისო უფლების და სამართლიანობის გაუგონარმა დაცემამ. სამაგონროთ, ქართველი ერი ფრიად გამხნედედა, როცა დღეს აქ წარმოთქმულ სიტყვებს გაეცნობათ».

თითოეული ორატორის სიტყვის შემდეგ გაისმოდა ქართული სიმღერა—«დიდება» ან «სამშობლო». დანარჩენი ნაწილი საღამოსი ქართულ სიმღერებით და ლექურით ჩატარდა. სომოდან მოსულ მომღერლებმა, ბ.ბ. ბახტაძემ, ჩუბინიძემ, ალანამ და თაყაიშვილმა, ბ.ნ. შენგელიას ლობტარობით, პირველ ხარისხოვან არტისტების შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე. ამათ ხმენიცი მშვენიერი აღმოახდინდა და სიმღერაში დიდი დისციპლინაც გამოიჩინეს. ქ.ნ. ი. გომართლისამ და ბ. გედევანიშვილმა შესამჩნევად იცეკვეს გამოჩენილ ქენეველ პიანისტ უ. პილერის აკომპანიმენტით და ყველას ძალიან მოეწონა მათი ლექური. ნაღრ როცა მათ იგივე ლექური ქართულ სიმღერის ქვეშ დაუარეს, საზოგადოება სავსებით აღტაცებაში მოვიდა.

მეორე საღამო გამართულ იქნა 29 მაისის «ტურინგ-ოტელში». ეს იყო «ქართული სადილი» მოწყობილი «Cercle de la Presse»-ის მიერ, სადაც შედიან ადგილობრივი და უცხო ყურნალისტები, პროფესორები, მწერლები, ერთა ლიგის წივი მუდმივი დელეგატები და ელჩები. ჯერ რყევაში მყოფი, მერე გულგრილი მომხრე ამ სადილის გამართვისა, ეს დაწესებულება ენტუზიაზმით აღივსო 29 მაისის საღამოს. მანე პირველ ყოვლისა იმოქმედა რწმენით და აღფრთოვანებით წარმოთქმულმა სიტყვებმა. მერე ის სავსებით შეიპყრო და აღტაცებაში მოიყვანა ქართულმა სიმღერებმა და ცეკვამ. თავმჯდომარედ ამ ბანკეტისა, სპეციალურად ამ შემთხვევისათვის, უკანასკნელ წუთში მოხერხდა არჩევა ჩვენი მეგობარის უ. მარტენის ხსენებულ პრესის საზოგადოების არჩეულებრივ კრებაზე, რომელსაც ბანკეტის წინ იმავ საღამოს ჰქონდა ადგილი. ამ გარემოებამ ბევრად შეუწყო ხელი საღამოსათვის სასურველ ხასიათის მიცემას. მარტენის სიტყვამ, რომელიც სადილის გათავებას მოყვა, მოამზადა საზოგადოება ყველაფერ დანარჩენის მკაფიოდ გამოხატვისა და გაკებისათვის. მარტენმა უამბო თავისი მოგონებები საქართველოში მოგზაურობისა დამოუკიდებლობის დროს, აღნიშნა საქართველოს სიძველენი. მაგრამ აქ უმთავრესი ორატორი ალბერტ მალე იყო და თავმჯდომარემ სიტყვაც მას დაუყონებლივ მისცა. მან კი თავისი ჩვეულებრივი ტაქტით და მქერმეტყველობით «რიცხვით მცირე, მაგრამ ცივილიზაციით დიდ და სულით ძლიერ ერზე» ლაპარაკით მოხიბლა საზოგადოება. მის შემდეგ სიტყვა აიღო ბ. ბატოვსკიმ, იმ მოლოვნეო ერის სახელით, რომელიც საქართველოსავით დაზარული იყო და მასთან ერთად იბრძოდა საერთო მტრის წინააღმდეგ, და ის დღეს ღრმად თანაუგრძობს თავის მოძმე ქართველ ერსო. შავიშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა ორატორებს. რეგორც წინა საღამოს ყველ წარმოთქმულ სიტყვას ქართული «პიმნი» ან «სამშობლო» მოყვებოდა. პოლიტიკური ნაწილის გათავების შემდეგ



მარტო ქართულ ცეკვა-სიმღერით გაგრძელდა საღამო. ეს სიმღერები კვლავ მსმენელთა გავიერებას იწვევდა. კვლავ ალტაცებში მოყვადათ მაყურებლები ჩვენს მოცეკვართ. და გამოსტკვამდენ აქ-იქ სურვილს, რომ მომავალშიაც უქნეთ შემთხვევა მათი მსმენისა და ნახვისა...

წინარე ოკეანის პრობლემა

VII

როგორც ითქვა, დიდ სახელმწიფოთა ინტერესები ჩინეთში დიდია. დიდ ინტერესებს, დიდი პრინციპებით დაცვა დასჯირდა. «დიდი პრინციპების დამცველი» ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები და ერთა ლიგაა. ეს პრინციპებია «დამოუკიდებელი ჩინეთი», «მთლიანობა მისი ტერიტორიის». ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებმა და ერთა ლიგამ, იაპონიას უძრახეს ამ დიდი პრინციპების დარღვევა, მათი აბუჩად ავდება, ლაპარაკმა ნაყოფი ვერ გამოიღო. მანჯურია იაპონიამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — მანჯუკოს სახელწოდებით — გადააქცია და ამ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა თვით იკისრა. ერთა ლიგასაც თავი დაუქრა, მას ჩამოშორდა.

მართალია, მანჯუკოს საკითხთან დაკავშირებით, დიდ სახელმწიფოებმა დიდი პრინციპები აავრდეს, ამ პრინციპების დასაცავად გამოვიდნენ, მხალოდ, როცა თვით ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებმა სუსტ კოლუმბიას ძალით პანამა მოვლიწვა და დიდ რუსეთმა პატარა საქართველო ხიშტით დაიპყრო, დიდი პრინციპები დიდ სახელმწიფოებს რადი გახსენებია, ძალმომრეობითს აქტებს ყველა შეუირობდა.

მანჯუკოს ხელმძღვანელობის, იაპონიის ხელში გადასვლით, ამ უკანასკნელის ეკონომიური ბაზა გაფართოვდა და იაპონიის ზედმეტ მოსახლეობას, რაც ყოველ წლიურად ერთ მილიონ სულს უდრდა, დასახლებელი ადგილები ეძიებდა. იაპონია შეუდგა მანჯუკოს ეკონომიურ აღორძინების საქმის მოგვარებას. იაპონიის კაპიტალმა, აქ მოკლე ხანში, მთელ რიგ დარგებში ღრმა ფესვები გაიდგა: აღორძინდა წვრილი და საშუალო წარმოება. ხუთი ათასი კილომეტრის სიგრძეზე რკინის გზის ქსელები გაიქიმა. ზოგი რკინის გზის ლინდავი ეკონომიურ მთლიანობებს ემსახურება. ამ გზების საშუალებით ბუნებით მდიდარ მანჯუკოს ნედლი მასალა იაპონიის წარმოებისთვის საზრდოს იძლევა. ეს გზები იაპონიის ღარიბ კუნძულებს დიდ ძალ სანჯავებსაც აწვდის. ამავე გზებით, დამუშავებული, უმთავრესად ტექსტილური ნაწარმები, მანჯუკოში თითქმის მხოლოდ იაპონიიდან მოდის. მარტო 1933 წლის პირველ ნახევარში იაპონიის ტექსტილური ნაწარმების გატანა მანჯუკოში 1,38 პროცენტით გაიზარდა. ასეთი სავაჭრობი ზრდა, ასეთ მოკლე ხანში, იაპონიას არ განუცდია არც ერთ ბუნარზე.

ზოგი რკინის გზები სტრატეგიული მიზნითაა აგებული. მანჯუკოს სტრატეგიული გზები მიიმარ-

თება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, ამურის და ზღვის ნაპირა რაიონებისკენ, იმ უზარმაზარ რაიონებისკენ, რომელიც მდიდარია ქვანახშირით, რკინის მადნეულობით, ჯირითი, ვერცხლით და ულვევი ტყეებით. რუსეთში, სამოქალაქო ომის ხანაში, იაპონიის ჯარი ადვილად დაეპატრონა რუსეთის ამ ზღვის ნაპირა სამხრეთ ნაწილს, მხოლოდ 1925 წელს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ძალდატანებით, ეს რაიონები ხელახლა დაუბრუნდა საბჭოთა რუსეთს.

სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიმართული რკინის გზები, იაპონიამ იმ მიზნით ააშენა, რომ წინარე ოკეანეს სამხრეთ ნაწილებს რუსეთი ჩამოაშოროს და ამ რაიონებში ან თვით მოთავსდეს ან აქ საბუფერო სახელმწიფო შექმნას.

პეკინში მანჯურის დინასტიის დაცემის შემდეგ, ვარეშე მონგოლიდან ჩინეთის გუბერნატორი განიდებენა. ვარეშე მონგოლია თავისუფალ მონგოლით გადაიქცა. იგი შეუდგა მთელი მონგოლიის გასაერთიანებლად მზადებას: როგორც შიდა მონგოლიის, რომელიც ჩინეთს ეკავა, ისე ციმბირის მონგოლთა ტერიტორიების, რომელიც მეფეთა რუსეთს ხელთ ეპყრა: მონგოლიის გაერთიანება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, ვარეშე მონგოლიამ იმ ხანათ ვერ მოახერხა. გაერთიანება რუსეთშიც და ჩინეთშიც შეუბრძალა. კარგად დაწყებულნი საქმე რუსეთ-ჩინეთ-მონგოლიის კომპრომიზული 1915 წლის აქტით დაშთავრდა.

ვარეშე მონგოლია თავისუფალი დარჩა, შიდა მონგოლია ჩინეთს შერჩა, მონგოლიის ის ნაწილი, რომელიც რუსეთის ხელში იყო, ამ უკანასკნელს ვერ ჩამოსცილდა. ვარეშე მონგოლია სუსტი და მოუზნადებელი აღმოჩნდა თავისი ძალდუნით მთელი მონგოლია გაერთიანებია და დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექნა.

საბჭოების რუსეთში გამარჯვებამ თავისუფალი ვარეშე მონგოლიის არსებობა საფრთხეში ჩაგდო. მოსკოვმა აქ წითელი სამხედრო ნაწილები შექნა და მთელი ტერიტორია თავის სამხედრო კონტროლს დაუმორჩილა. ვარეშე მონგოლიაში საბჭოების გაბატონებამ, აქ «კოლხობების» შემოტრებამ, წითელ არმიელთათვის პირატუტყვთა რეკვიზიციამ, მუდმივ დევნამ და უმომწყოლო გადასახადებმა, ათი ათასობით გლეხებს, ვაჟრებს თუ შემამულეთ პირი შიდა მონგოლიისკენ შეწევინა, შიდა მონგოლიაში ლტოლვილიად ვახდა.

ინიც დარჩა, გაქცევა ვერ მოახერხა, უკმაყოფილებას იჩენს, თავისი მიწა-წყლის დასაცავად რუსეთის შემოსევას ებრძვის: მთელ რიგ კუთნებში სინდულმო ჯგუფები ჩაისახა; მათი მიზანი მტრის ვანდევნა, თავისუფალი მონგოლიის აღდგენა.

წითელი არმია, მოსკოვის კუთხხევიტ, ხალხო ჩინეთის წითელ არმიის სახელწოდებით, სახდრების სისტემატიურ გაფართოვებას განაგრძობს, გოების უდაბნოდან დაწყებული; ჩინეთის ტრადიკული ზღვის ნაპირებამდე. ჩინეთში, წითელ არმიელთა ტალღების შესრუტებლად, იაპონია შიდა მონგოლიას მიადგა, ჯესობის ხლქი დაიპყრო; მანჯუკო

სტრატეგიული რკინის გზის ქსელებით ჯგეროლს გადააჯაჭვა. ზოგი რკინის გზის ლიანდაგი ჯგეროლის გულშია შეჭრილი და აქ შტოებათ დაყოფილია: ზოგ მათგანს გარეშე მონგოლისკენ პირი უყვია, ზოგი კი პეკინს შესჩერება.

რკინის გზის ლიანდაგები, რომელნიც გარეშე მონგოლისკენ მიიშართებიან, ამ უკანასკნელიდან რუსეთის განდევნა აქვს მიზნად. ამ მიზნის განსახორციელებლად მანჯუკო-ჯგეროლი ჰაეროდრომებით, სტრატეგიული საჰაერო ხაზებითაა მოფენილი. მანჯუკოში, რომელიც 3.500 კილომეტრის სიგრძეზე საბჭოთა რუსეთს ეკვრის, 130 ათასი იაპონიის ჯარისკაცა დაბანაკებული.

უკანასკნელ ხანებში იაპონია სცილიობს თავის გავლენას მთელი შიდა მონგოლია დაუქვემდებაროს, რომელსაც დიდი ხნიდან ჩინეთის მოხელენი, მემამულენი და კოლონისტი გლეხები დაეპატრონენ. შიდა მონგოლიის ადგილობრივი მოსახლეობა აქ გაბატონებულ ჩინელებს ებრძვის, ჩინეთის საქონელს ბოიკოტს უცხადებს, იაპონიის საქონელი შემაჯვებს.

შიდა მონგოლიის ბრძოლა ჩინეთის წინამდევ გადაება გარეშე მონგოლიის ბრძოლას რუსეთის წინამდევ, რუსეთის ოკუპაციის წინამდევ ბრძოლა გარეშე მონგოლიაში და ჩინეთის წინამდევ შიდა მონგოლიაში მონგოლთა მთავარ მიზნად იქცა. მონგოლიის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ოცი წლის წინ მიუყრებელი. ისევ განახლდა. მანჯურის —მანჯუკოთ გადაქცევამ ნაციონალური მოძრაობა მთელს მონგოლიაში გააცხვებლა. ჩან-ჩუნში იქმნება ცენტრი მონგოლთა ნაციონალური მოძრაობისა. 1933 წელს შიდა მონგოლიას ავტონომიური მთავრობაც მოეყვინა. დიდ ომამდე გარეშე მონგოლია მეთაურობდა მონგოლთა გაერთიანების და დამოუკიდებლობის საქმეს, უკანასკნელი წლებში კი შიდა მონგოლია-იაპონიის დახმარებით. ჯგეროლის აღებით და ხაილარ-სოლუნში დასაყრდნობ პუნქტების შექმნით, იაპონიის ჯარის შესვლა შიდა მონგოლიაში დიდად გაადვილდა. დოლ-ნორის და კალ-განის შუა ზაზანე-გუანაში—ჰაეროდრომები აეგო. აქ ჰაეროპლანებიც თავმოყრილია. იგება ახალი ყაზახები დოლ-ნორში, სიუნჩინში, განჩურშიოში და დილიდინში. დამთავრებულია საავტომობილო გზათა ქსელები ამ პუნქტთა შორის და ჩინეთის დიდ კედლის გასავალთან, აღმოსავლეთ ჯახარში. ჯახარში რადიო სადგურებიც აგებულია. ყველა ამ მზადებას დიდი მონგოლიის იმპერიის შექმნა აქვს მიზნად.

პეკინის გზით იაპონიის მუშაობა მიიშართება, 350 ათასი შეიარაღებული წითელი არმია და ამდენივე წითელი გვარდია (თანხმად მოსკოვის წყაროებისა), კომინტერნის ხელმძღვანელობით, ჩინეთში საბჭოთა საზღვრების გაფართოებას რომ ეწყება, ეს მოძრაობა შეაჩეროს; უძლეური ნანკინის მთავრობას თავისი სიძლიერე უჩვენოს და ეს უკანასკნელი აიძულოს, ჩინეთში კომუნისტურ მოძრაობის წინამდევ სათანამშრომლოთ გამოვიდეს.

რუსეთი ჩრდილო მანჯურიაში გაბატონებას ლამობდა, გარეშე მონგოლიის თავისი გავლენის

ქვეშ მოქცევის შემდეგ, შიდა მონგოლიის დაპატრონებას. ჩრდილო მანჯურია, რუსეთს ხელიდან გაუსხლტა—მანჯუკოთ გადაიქცა. შიდა მონგოლიაში შესვლა არ დასცალდა. შიდა და გარეშე მონგოლია დიდ მონგოლიად გადასაქცევად ემზადება, რუსეთის მონგოლიის თანდართვით.

1904-05 წლებში იაპონიამ სამხრეთი მანჯურია, ჩრდილო მანჯურიაში შესავალ კარებად გახადა. უკანასკნელ წლებში ჩრდილც მანჯურია ერთის მხრივ და შიდა მონგოლია—მეორეს, შესავალ კარებად ხდებიან როგორც რუსეთის ამურში და ზღვის ნაპირა რაიონებში, ისე გარეშე და რუსეთის მონგოლიაში, რომ ამურის და ზღვის ნაპირა რაიონებში საბჭოთაო სახელმწიფოთ გადაიქცეს, გარეშე და რუსეთის მონგოლია კი, შიდა მონგოლიის დართვით დიდ მონგოლიათ, იაპონიის დახმარებით. ეს კარები უფრო ადვილათ იღება მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა ჩალის ფასად მანჯურიაში შეიძინა ერთის მხრივ, და შიდა მონგოლიაში იაპონია პატრონდება მეორე მხრივ.

ი. სალაყაია.

### უცხოეთის მიმოხილვა

#### ღრბი პაქტი.

ჯერ კიდევ არ განგვიხილავს მოსკოვის მიერ დადებული ორი პაქტი საფრანგეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან და მათ უკვე გახუნების ფერი დაჰკრავს. ლავალი და ბენეში დიდის ზემოთ მიიღეს მოსკოვში, ურთიერთი მეგობრობა და თანამშრომლობა იმდენსაწაულებს და აქედან საბჭოთა პრესამ დასკვნაც გააკეთა: "შეხებ რა ძლიერი ვართ, როგორ გვეფერებიან, რა ზომაზე აიწია «მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს» პრესტიჟიო. სინამდვილეში ვისაც თვალი აქვს, დაინახავს, რომ ორ პაქტში დაპირებული დახმარება მესამე სახელმწიფოს წინამდევ—იგულისხმე გერმანია—იმდენ პირობებზე არის დამოკიდებული, რომ არავის სჯერა, იქნება თუ არა ის ოდესმე სისრულეში მოყვანილი. საფრანგეთი და აქედან ჩეხოსლოვაკია მხოლოდ მაშინ არიან ვალდებული მიეშველონ მოსკოვს, თუ მის ტერიტორიას შემოესია მტერი. მაშასადამე, თუ, მაგ., გერმანიის ჯარი მიადგა ბალტიის რესპუბლიკებს—და ეს ხომ კარია მოსკოვისკენ—უკანასკნელს არავინ მიეშველება. არ მიეშველებიან მაშინაც, თუ მის წინამდევ გაილაშქრა იაპონიამ. ამრიგათ, უარყოფილია საბჭოთა კავშირის დაცვა აღმოსავლეთით და დასავლეთით იგი შეზღუდულია ტერიტორიალურათ. ამას ზედ ერთვის ერთა ლიგის პროცედურაც და ეს გამოიხატება იმაში, რომ, სანამ პაქტის დამდებნი მის განხორციელებას შეუდგებოდნენ, ყენევაში უნდა იმსჯელონ, ლიგის საბჭოში, იმაზე, ვინაა თავდამსხმელი და ვინ დამხდომი, რაზედაც ერთსულოვნება წინააწინვე გამოორიციხულია. თუ არაა ერთსულოვნება, საფრანგეთი და ჩეხოსლოვაკია, ერთის მხრით, და საბჭოთა თა კავშირი, მეორეს მხრით, თვითონ იღებენ თავის





თავზე ურთიერთ დაცვის საქმეს, მაგრამ, სანამ ამას იქმდენ, უკან უნდა იხედებოდნენ. როგორია სხვა სახელმწიფოების პოზიცია, მაგ., დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, იტალიის. განსაკუთრებით დიდი რისკია საფრანგეთისთვის. რადგან მას არას შემთხვევაში არ სურს, რომ ლოკარნოს პაქტი გაუქმდეს, რომლის თავდებნი ინგლისი და იტალია არიან, და ესენი კი ვალდებული არიან დაეხმარონ არა მარტო საფრანგეთს, არამედ გერმანიასაც, იმის და მიხედვით, ვინაა თავდამსხმელი ამ ორ შორის.

ერთი შეთანხმება.

პიტლერის გერმანიამ სწორეთ ამ შეუსაბამობაზე მიუთითა ლონდონსა და რომს ერთ იურიდიულ ნაბრძანში, რომელსაც პარიზი მტრულათ შეხვდა, მაგრამ ამით ვერ ჩაშალა ბერლინის მოლაპარაკება მის ძველ მოკავშირეებთან. დუჩემ ერთ თავის სიტყვაში გამოთქვა ფრიად საგულისხმეირო აზრი: ნუ თუ იმისათვის დაეშალეთ ავსტრო-უნგრეთი, რომ მის უკან ატუხულიყო ძველი რუსეთი მისი იმპერიის სტრუქტურის მისწრაფებებით ბალკანეთსა და დუნაის ქვეყნებშია? ამას მოყვა ჩურჩული რომსა და ბერლინის შორის, ავსტრიის ხელშეუხებლობა წესრიგშია, და თუ ეს მიღწეულ იქნა, არაფერი დაუდგება წინ გერმანია-იტალიის ფრონტის აღდგენას, რომელსაც მიეკედლებიან პოლონეთი, უნგრეთი და ბოლგარია.

მაგრამ ეს პროცესი არაა ჯერ კიდევ დამთავრებული, ხოლო ლონდონში უკვე მოხდა გერმანია-ინგლისის საზღვაო შეთანხმება, რომლის ძალით გერმანიას შეუძლია ააშენოს ფლოტი 35 პროცენტის ტონაჟის შედარებით ინგლისის ფლოტთან. ეს შეთანხმება ძალაში შევა, როცა მას მიეკედლებიან საზღვაო დიდი სახელმწიფოები. ტოკიო დაყაბულდა, პარიზი და რომი არა, ვაშინგტონი სდუმს, და აქ ისმის სწორეთ ვერსალის ზავის საბოლოო ლიკვიდაციის კითხვა. ის უკვე გაუქმებულია ფაქტიურათ: გერმანიამ ცალმხრივით განითავისუფლა თავი ზავის სამხედრო შეზღუდვებისგან, შემოიღო საყოველთაო სამხედრო ბეგარა, აშენებს საჰაერო ფლოტს და ხელს კიდებს საზღვაო ფლოტს, როგორც დაეინახეთ.

ამრიგათ, გერმანია შედის საერთაშორისო კონცერტში, როგორც სწორუფლებიანი დიდი სახელმწიფო, რასაც უთუოთ დიდი შედეგები მოყვება. ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ რაც ფაქტიურათ არსებობს, იურიდიულათ უნდა დადასტურდეს. ლავალის პრემიერად დანიშვნა იმედს უღვიძებს მსოფლიოს, რომ ის, როგორც ბრიანის მოწაფე, ისევ გააბამს მის სიკვდილის შემდეგ გაწყვეტილ ძაფს. ყველაზე ნევრალოგიური წერტილი, როგორც გუშინ, ისე დღესაც გერმანია-საფრანგეთის დამოკიდებულებაა; მის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას არაფერი ეშველა, ბრიანმა თითქო მიაღწია მას, ხოლო შემდეგ ისევ გართულდა და დღეს ლავალს უწევს ამ კვანძის გახსნა. ეს შესაძლებელი იქნება, თუ დასავლეთის დიდი სახელმწიფოები მიხვდებიან ბოლოს და ბოლოს, ხომ საყოველთაო მშვიდობია-

ნობა და წარმატება მათ ურთიერთ ლოიალურ თანამშრომლობაზეა დამოკიდებული. ამის იმედს იძლევა ლონდონის შეთანხმება, რასაც უნდა მოყვეს ლოკარნოს გაძლიერება საჰაერო შეთანხმებით.

ერთი განჩინება.

ევროპის ამ გაწამაწიაში თითქმის შეუქმნეველი დარჩა ამერიკის შეერთებულ შტატების უხუნაეს სამსაჯულოს განჩინება, რომლის ძალით პრეზიდენტ რუზველტის «ეროვნულ აღდგენის აქტი» გაუქმებულ იქნა. დიას, არის ქვეყანა, რომლის კანონები შეუძლია, კონსტიტუციის ძალით, გააუქმოს სამსაჯულო! მაგრამ რა იმალება ამ იურიდიულ ფორმულის უკან, არავინ უწყის უკეთ, ვინც ვაშინგტონის კონგრესმა, და მან ორთავე პალატაში სწრაფათ გაატარა ახალი კანონი, რომლის ძალით რუზველტის «აქტი» ძალაში რჩება მომავალ წლის აპრილამდე. ამით, შეიძლება ითქვას, შეერთებულმა შტატებმა თავი დააღწიეს აუწყრელ არევ-დარევას სახალხო მეურნეობაში. ძნელია წინასწარმეტყველება, რით დამთავრდება რუზველტის ექსპერიმენტი. ეს იყო, როგორც ვიცით, გრანდიოზული ცდა ბურჟუაზიული მთავრობის მიერ, ნახევრათ სოციალისტური ზომების მომარჯვება უმაგალითო ეკონომიურ კრიზისის დასაძლევათ. უძლიერესი მუშათა პროფესიონალური ფედერაცია რუზველტის ზურგს უკანა სდგას, ის მზათაა საყოველთაო გაფიცვაც კი გამოაცხადოს მისი «აქტის» დასაცავათ. ამრიგათ, უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფო არაჩვეულებრივ კრიზისს განიცდის და არავინ იცის, რეგოლუციით თუ ევოლუციით იქნება ის ძლიერი.

ერთი დაკვირვება.

ამაობაში, როცა არავის სცალია ევროპა-ამერიკაში გარეთ გასახედათ, იაპონია ერთი დაკვირვებით ლამობს შორეულ აღმოსავლეთის ბუმბერაზ კითხვის გადაჭრას. ის უმორჩილებს თავის პირდაპირ გავლენას ჩრდილოეთ ჩინეთს, შეიძლება მანჯუსკოს დედა ქალაქი სინკინგიდან პეკინს გადაიტანოს და პუ ი ჩინეთის იმპერატორად გამოაცხადოს. ის ამასაც არ სჯერდება. უბრძანებს ნანკინის მთავრობას მთელი თავისი საგარეო პოლიტიკა იაპონიის კონტროლს დაუმორჩილოს. ნანკინი ვერ ბედავს მიმართოს უენევას, ვაშინგტონს ან ლონდონს. ჯერ აღერეა რაიმე დასკვნის გაკეთება, მაგრამ ერთი უკვე გააკეთა «იზვესტიამ»: ჩვენ გვეგონა, იაპონიის ჩინეთის საქმეებში ჩაღლა გვაშორებდა ხიფათს მისგან, მაგრამ ესლა გამოდის, რომ ის შინა-მონგოლეთით მოიწვევს და მეორე მხრიდან გვივლის წრეს, მაშასადამე, «სოციალისტური სამშობლო» განსაცდელშია! სწორია, გვინდა ერთხელ მაინც მიუზღოთ მტერს თავისი.

დ ი დ ი ლ ტ ო ლ ვ ი ლ ი

(ვიქტორ ჰიუგო)

1.

ჰიუგო მწერალი, პოეტი.

მკითხველო. ყოფილხარ თქვენ პანთეონში?

იქ განისვენებს საფრანგეთის დიდი შვილი, მე-19 საუკუნის ბუმბერაზი, ვიქტორ ჰიუგო: მგოსანი, რომანისტი, დრამატურგი, დაბოლოს ცხარე რესპუბლიკანელი, ნაპოლენ მესამის გამეფების გამო გაიხიზნული, ლტოლვილად ქცეული...

ჰიუგოს ხანგრძლივ სიცოცხლეს (83 წელი) უნაყოფოთ არ ჩაუგლია და მას უკანასკნელ წუთამდის კალამი არ გაგარდნია ხელიდან. და უნდა დაეუმეტოთ, რომ ღრმა მოხუცის ნაშრომი არ არის ნაკლების ღირებულების. ვინმე ახალგაზდობის ნაწერები. აღსანიშნავია, რომ ჰიუგოს ნიჭი განსაკუთრებით ყველის მას შემდეგ, რაც ის 50 წელს გადაშორდა.

ვ. ჰიუგო. როგორც მწერალი იყო დოვლათიანი და ზედმიწევნით ნაყოფიერი. მისი ნაწარმოები წარმოადგენს მრავალ ტომთა მთას. საფრანგეთის ლიტერატურაში ამ მხრით მას ვოლტერი თუ შეფდრება. ამ არაჩვეულებრივ ადამიანის ნაწარმოებთა მრავალრიცხოვანება და მრავალფეროვანება სწორედ რომ საარაუაოა: ამ რაოდენობასთან შეერთებულია თვისება, თვისება მაღალი ღირსების. ჰიუგოს ნაწარმოები ულამაზესი და უმშვენიერესია პოეზიის მხრით, მის ლექსების მჯობესი საფრანგეთის ლიტერატურაში მოცნობია. რაც შეეხება პროზას, ჰიუგოს განცვიფრებაში მოყავს ისეთი მწერალიც კი, როგორც იყო მორის ბარესი (რომელიც სხვათა შორის მის აზრებს არ იხიარებდა). რაც ამ ღვთაებრივ მგოსნის კალამიდან გამომდინარეობს, არის დიადი და დასრულებული.

ჰიუგო ნამდვილი გენიოსური ნიჭის პატრონი იყო, ხოლო როგორ დაფასდა, როგორ აფასებენ მას დღეს? პარადოქსალური მოვლენაა, მაგრამ საფრანგეთის სიტყვა-კანშიულ ლიტერატურის ამ დამამშვენებელს ბევრი მოპირდაპირე და უარყოფითი კრიტიკისი ყავდა და ყავს დღესაც. რა თქმა უნდა ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელია: ერთს ლექსთა წყობა არ მოსწონს, მეორეს მისი კეთილშობილური აზრები. ბევრ პოეტს შური ალაპარაკებს, რადგან ჰიუგოს ჩრდილში ისინი ფანტომებად მოხიანან ხელმე. როგორც ყოველივე ადამიანი, უნაკლო არც ჰიუგო იყო. მის ნაწერებს აქვს უარყოფითი თვისებებიც. მაგრამ ეს ნაკლი უჩინარია იმ თვალწარმტაც ზღვაში, რომელსაც მთლიანი ნაწარმოები წარმოადგენს. მისი ნაკლია უთუოთ მრავალსიტყვიანობა, ვერბალიზმი. ჰიუგოსთვის არ არსებობს: «გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის»; ის ხშირად და ძლიერ ვრცლად შეჩერდება ხელმე ისეთ «საგანზე», რომელიც უკვე ამოწურულია. უკვე განმარტებულია.

თანამედროვე მწერლებში—როგორც ახალგაზდა ისე ძველებში—არაინ ისეთები, რომელთაც ჰიუგოს სახელის გაგონებაც კი არ სურთ. ერთმა თანამედ-

როვე ცნობილმა მწერალმა (კლოდ ფარერი—მემარჯვენე) მას ამას წინათ ჩერჩეტი (imbecite) უწოდა. რა თქმა უნდა, ასეთი «აზრი» თვით მის ავტორს თუ დაამცირებს, თორემ ვ. ჰიუგოს ფერას დააკრებს. ჰიუგო ძლევათმისლი მეფეა, მწერლობაში, რომლის ტანტს ვერ შეარყევს ვერც ადამიანი და ვერც დრო!

მისი მქირდველი განსაკუთრებით მემარჯვენე «ურა-პატრიოტების» ბანაკში იმყოფებოდა. თვით კარგად იცოან—ვიქტორ—რომ ვ. ჰიუგო საფრანგეთის სახელი და სიამაყეა, მაგრამ პოეტი სასტიკად ებრძოდა ტირანიას, ის იყო პაციფისტი, გულწრფელი და მეტრძოლი რესპუბლიკანელი—რაც იმ დროს დიდი ღირსება და გამბედაობა იყო—და ამას ვერ ინელებენ ეს მოწინააღმდეგენი.

მარა დიდ პოეტს ყავს მოყვარეც და შადიდებელიც. ასეთები არიან მისი თაყვანისმცემლები, მწერლები და კრიტიკოსები და რაც მთავარია, მასთან არის ხალხი, რომლის გულს—კალმით, სიტყვით თუ მოქმედებით—ის ღრმად წვდება ხელმე.

თანამედროვე ცნობილი პოეტი ფ. გრეგი ამბობს, რომ არსებობს დიდ ხელოვანთა ორი დიდი კატეგორია. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, რომელნიც—როგორც ყვევლი—ძალდაუტანებლად იფურჩქნებიან ადამიანის ბუნებისაგან; მათ სულში ღვთაებრივ ქალური რაღაც ბუდობს; უმძლავსი საუცხოვო, ხშირად ღრმა გონების მატარებელი, ისინი არიან ნამდვილი გამომხატველი თავიანთ მოდგმის, სამშობლოსი, მაგრამ მათი ნაწარმოები—რაც უნდა მშვენიერი იყოს—რჩება ადამიანურ შესაძლებლობის ფარგლებში.

მეორე კატეგორიაში არიან უზენაესი გენიოსები. საუცხოვო ვაჟაკურებით, მამაკაცური ალით აღვსილი და რომელიც «ქმინან». ესენი ბატონობენ კაცობრიობაზე თავის ნაწარმოებით, არა თუ მხოლოდ თვისებით, არამედ მათი რაოდენობითაც; წინათ და განსაკუთრებით იმ დროებით, რომელსაც მათი ნაშრომი გვიტოვებს და რომელიც შეიცავს რაღაცას უზენაეს—კაცობრიულს.

და აი, მართლაც ისეთ დიდ ხელოვანთა გარდა, როგორც არიან ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულნი: სოფოკლები, ვირგილიუსები, მოცარტები, ლამარტინები და დებუსები, ჩვენში ილია და აკაკი, —არსებობს და მეფობს მშვენიერების გიგანტთა მთელი წყობა, როგორღაც არიან მაგალ., ჰომეროს, დანტე, შექსპირი, ტოლსტოი, რემბრანდტი, მიქელანჯელო, ვაგნერი, რუსთაველი, ბენეტკოვენი.—ერთ დღე იმავე დროს ძლიერნი და ნაზნი, რომელთაც გულში ღვივს ძალა და სიყვარული და რომელიც არიან კაცობრიობის იმედი და მის საუკეთესო მყობადის საწინდარნი. ასეთებს უნდა მივაკუთვნოთ ვიქტორ ჰიუგოც.

ცნობილია, რომ გამორჩენილმა კრიტიკოსმა სენტ ბეშა—სანამ ის ჰიუგოს დაეუბრებოდა—რომანტიკოსების სახელით უძღვნა პოეტს რომანის თხზულებანი ზედ წარწერით: «ლირიკის უუფიძეს შემქმნელს, პლენიადის შენდგე». ამით კრიტიკოსს უნდა-



და ალბად ეთქვა, რომ პოეტი იყო მრავალ სტროფების შემქნელი. მაგრამ ვიქ. ჰიუგომ არა მარტო სტროფების ფორმა გამოიგონა, არამედ მან შესძინა ფრანგულ ლირას ახალი მუსიკა, კერძოდ შექმნა ფრანგული თანამედროვე ლექსი. მან გადაქმნა კლასიკური ლექსი, მისცა მას სხვადასხვაობა, გამოსწედა, ჩამოასხა, გააშალაშინა, გამოასწორა და ბოლოს დაავტორგვინა რითმების სიმშვენიერით. ჰიუგომდის ლექსი იყო მელოდია, მან ის სიმფონიად გადააქცია.

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჰიუგო იყო მე-19 საუკუნეში ფრანგულ ლიტერატურულ სკოლების გეოგრაფიული ცენტრი. მან დაიწყო კლასიციზმი: ის იყო «odes»-ბში უკანასკნელი წარმომადგენელი მალერბისა და ე. ბ. რუსსოს სკოლის. შემდეგ—როგორც ვიცით—ის იყო განსახიერება რომანტიზმის. ამ უკანასკნელის შორეული და განუმარტავი ინიციატივა ე. ე. რუსსოს, მალამ დე სტალს და შატობრიანს ეკუთვნის, მაგრამ ჰიუგომ რომანტიზმს შესძინა მისი თეორია მის შესანიშნავ «Préface de Cromwell»-სა და სხვა ნაწარმოებში: პოეზიაში, რომანში და თეატრში. შემდეგში ის შეიქნა უდიდესი და შესანიშნავი სახელი მეორე, დიდი რომანტიზმის (1840—1860) მისი შეუღარებელი «Les Châtiments», «Les Contemplations» და «La légende des Siècles»-ით. ის არის ინსპირატორი პარნასის, რომლის მამათ-მთავარნი—გოტიე, ლეკონტ დე ლილ და ბანვილი, იყვნენ მისი მოწაფენი. თავის თეორიით «თავისუფლება ხელოვნებაში», «რაც კი არის ბუნებაში, არის ხელოვნებაში». ჰიუგომ მოამხადა და შემოიღო—პარალელურად დიდ ბალზაკთან—ნატურალიზმი, რომლის წინამორბედი იყო მისი ცნობილი რომანი—შედევრი «Misérables». დაბლბოს მის გავლენას ეპოქაობით სიმბოლოზშიც, რომლის ინიციატორები იყვნენ ჰიუგოსივე შეგირდები: ბოლლერი, რიმბო, ვერლენი და მალარმე.

ვ. ჰიუგოს ქვეყანა ქონდა წარმოდგენილი გარი-თმულ, გალექსილ სიტყვის სახით. რაც მან ქნა ლექსისათვის, რითმისათვის, იგივე ქნა მან ენისათვის, სიტყვისათვის. ლექსში ჰიუგომ ჩამოაყალიბა თანამედროვე ფრანგული ენა, როგორც რომსარი მე 16-17 საუკუნესათვის. ჰიუგო ასხამს ფრანგულ ლექსების ენას მე 19-20 საუკუნესათვის.

დღესაც კი ვინც სწერს მისი მოვალეა, მისგან მომდინარეობს, როგორც პოეზიაში, ისე პროზაში; მისი მოვალენი არიან პირდაპირ თუ არაპირდაპირ ისინიც კი, ვინც მასავით არ აზროვნებენ,—კიდევ მეტი—მას ებრძვიან. მის წინამდებავ სწერენ, როგორც არიან ცნობილი ჰიუგოფობები პ. კლოდე (პოეტი-დიპლომატი), ლ. ბერტრანი (აკადემიკოსი) და ლ. დოდე.

(დასასრული იქნება)

ანტონ ჟორჟელიანი.

### კომუნისტები საქართველოში

(ყოფილი კომუნისტის მოგონება)

1928 წელში ჩერკონეცმა იწყო ქანაობა და ჩქარა მისი ყიდვითი უნარიანობა გამეფებდა. ამ დრო-დანვე იწყება მრევლულობის ნაწარმოების კრიზისი, სახელმწიფო ვაჭრობა ნახევრადაც ვერ ასრულებს მომხმარებელი კოლპერაციის შეკვეთებს და უკანასკნელი კი გლეხების მოთხოვნილებას. ეს მდგომარეობა კატასტროფიული სიჩქარით მიექანება და 1929 წლის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ მომხმარებელი კოლპერაციის ცალიერ ბაზებს. გლეხი და მუშა თავის მიწიმაღურ მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებენ. ამავე დროს მაგარი ფასები რჩება ურყევად, მუშის ხელფასიც, რა თქმა უნდა, შეუცვლელი, ხოლო ჩერკონეცი თანდათან ეცემა. გლეხობა ყოველ-სავე საშვალეობას ხმარობს თავისი ნაშრომის რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობა ჩააბაროს კოლპერაციას და დანარჩენი გაიტანოს კერძო ბაზარზე. ხელისუფლება სასტიკი ზომებით უპასუხებს გლეხების ასეთ ტენდენციას და თანდათან კვეცავს კერძო ბაზარს და ბოლოს სავსებით აკრძალავს მას. გლეხს ძალდატანებით აიძულებს საქონელი ჩააბაროს მაგარ ფასებში, როგორც კი გლეხი წინამდებლობას გაუწყვეტს,—მას აცხადებს «კულაკად», მის ქონებას კონფისკაციას უშვებდა და ასახლებს. ამ ნაირად «კულაკი» ხდება ყოველივე გლეხი; ლარბიც და საშუალოც, თუ კი მან სწრაფად და მუქდად არ ჩააბარა თავისი ნაწარმოები სახელმწიფოს. სახელმწიფოს მიერ დამზადება-შესყიდვა გადაიქცა 1919-20 წლების «პროდრაზგორსტკად». კარგად ჩამოყალიბებული პოლიციის აპარატი მთელი თავისი სიმძიმით დააწვა გლეხობას, ძარცვავს მას და არავითარ ანგარიშს არ უწყევს მის არსებითს მოთხოვნილებას. ამ დროს პრესა ვაკვირებს რომ სოფლად მიდის გლეხების ფენებად დაყოფა და კოლმეურნეობის წყობილება იმარჯვებს. სინამდვილეში კი ძალთა განწყობილება სოფელში შეიქნა ისეთი, რომ ერთ მხარეზე აღმოჩნდა მთელი გლეხობა: კოლმეურნელი და ინდივიდუალური და მეორე მხარეზე პარტიულ-საბჭოთა აპარატი თავისი კომიტეტებით. ხელისუფლების ასეთმა ცდამ წინამდებელი შედეგები მოიტანა, მთელი გლეხობა შეიქნა სოლიდარული დესპოტიური ხელისუფლების წინამდებ. ძალდატანება დათესვის დროს, ძალდატანება გათხჩნის დროს, ძალდატანება მოწვევის დროს; ძალდატანება დამზადების დროს, კონფისკაცია და დენა ახსისათებს იმ განუსაზღვრელ თვითნებობას, რომლის კლანჭებშია ჩავარდნილი სოფლის ყველა ფენები. სტალინისა და მოლოტოვის მიერ ხელმწიფობი დადგენილებები პურის თავისუფალ გაყიდვის ნებართვისთვის მოტივად ასახელებენ 100 პროც. პურის დამზადების შესრულებას ამა თუ იმ რაიონში. სინამდვილეში კი ასეთი დადგენილებების შეითხნა ხშირად ხდება შედეგად ძალიან საგრძნობი მშვიერი აჯანყებებისა ამა თუ იმ რაიონში.

პური დიქტატურის ხელში გადაიქცა მათრახად. სახალხო მეურნეობაში გეგმიანობის ელემენტების

შეტანას უნდა ჰქონდეს მიზნად წონასწორობის შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში, მაგრამ საბუთო გეგმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება ეკონომიკის ყველა კანონებს, არამც თუ ვერ აღწევს წონასწორობას, არამედ ჰქმნის კიდევ მეტს დისპროპორციებს. პურის დავეგმამ მივიყვანა მშვიერ პურის ბარათებამდე ქალაქში და უარეს სიმშვილამდე სოფელში. სათესი ფართობის გადიდება ხდება პირდაპირ ჯოხის ქვეშ. მსავლიანობა არ იზრდება, არამედ იზრდება მინდვრების დაავადება სხვადასხვა მანვნი ბალახებით. ანალოგიურ მოვლენებს ვხვდავთ სხვა კულტურების დარგშიც: მესაქონლეობასა, მეხილეობასა, მებოსტნეობასა, მებალეობასა და სხვაში. «კულაკთან» ბრძოლის პოლიტიკა სოფელში, გადაიქცა საერთოდ გლეხებთან ბრძოლად და გაანადგურა სოფელი. მან დამბლა დასცა სოფლის მეურნეობას.

ხელისუფლებამ შესძლო გლეხებისთვის თავზე მოეხვია მაგარი ფასები, პოლიციური საშვალეებით წაართვა გლეხს მისი ნაშრომი, შესძლო კეტით შერეკვა გლეხობის კოლექტიურ მეურნეობაში, მაგრამ უძლური შეიქმნა იმისთვის, რომ აიძულოს გლეხი ასწიოს თავისი მეურნეობის პროდუქცია სახელმწიფოს საჭიროების დაკმაყოფილების დონემდე. გლეხის საბოტაჟი გახდა ერთად ერთი თავდაცვის საშვალეება მოძალადე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვერაფერმა «პოლიტორღელემმა» ვერ მოახერხეს, გლეხი ისე ამუშაონ, როგორც ის მუშაობდა წინად. გლეხობამ შეიგნო, რომ ხელისუფლება ეწევა სისტემატურ ძარცვას და რომ მის წინააღმდეგ საჭიროა ყველა საშვალეებით ბრძოლა. აჯანყება ფართო მასტაბით შეუძლებელი გახდა, მაგრამ საბოტაჟი მთელი გლეხობის მასტაბით იქცა ფაქტად. ცხოვრების გაიაფების მაგივრად, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მთელი დედა მიწის ზურგზე მეორე ქვეყანას ვერ მონახავს კაცი, სადაც ცხოვრება იყოს ასე მძიმე, ასე ძვირი და ასე უსინათლო.

კომუნალური მოთხოვნების უფასოდ დაკმაყოფილებას პირდებოდა ხელისუფლება მშრომელ მასებს, სინამდვილეში კი მშრომელს შერჩა «სოციალისტური შეჯიბრი» და სიმშვილ-სიცივე, კედლის გაზეთი და დაკეტული აბანოები, დამტვრეული ტრამვაის ვაგონები, ცალიერი აფთიაქები. კინო და თეატრი თავისი სიძვირით სრულიად ხელმიუწვდომელია მშრომელი ხალხისთვის. სამუაიეროდ «პასუხისმგებლებისთვის» არსებობს განსაკუთრებული აფთიაქი, საექიმო ბარათები, რომელიც უფლებას აძლევს ისარგებლოს საუკეთესო ექიმები, საგანგებო სანოვავის განმანაწილებელი პუნქტები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, უფასო ბილეთები თეატრში და კინოში, უფასო მოგზაურობა რკინის გზაზე, ტრამვაიში, საკუთარი ავტომობილი, სოვნარკომის ნომრები აბანოში, ძალიან კომფორტაბელური და უფასო ბინები, განაძარცვი ავეჯეულობით მოწყობილი. რითი არ არიან სტალინის ფორმაციის აზნაურები? კომუნისტი, დიდი მოხელე, სარგებლობს ყოველნაირ პრივილეგიებს, თავისუფალია გადასახადებისაგან, სარგებლობს საიდუმლო ფონ-

დებს, საბუთო მეურნეობას, კოლმეურნეობას, პასუხისმგებელი არ არის არაფერში და არავის წინაშე. მას ვერ შეეძრება ძველი ფეოდალი.

1929 წლის მიწურულში კრემლის საიდუმლო ინსტრუქციების თანახმად მოხდა მაგარი შეტევა გლეხობაზე. მოახდინეს კონფისკაცია შეძლებულ გლეხების ქონების და ეს ქონება ნაწილობრივ გადაეცა ახლად შექმნილ კოლექტიურ მეურნეობებს და ნაწილობრივ საბუთო მეურნეობებს.

შეძლებული ფენების გაძარცვამ შედარებით უმტკივნეულოთ გაიარა ხელისუფლებისთვის, ხოლო როცა უკანასკნელი შეუდგა მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებას, აქ გლეხობამ მეტი აქტივობა გამოიჩინა და ბევრ ადგილას შებრძოლებამ მწვავე ხასიათი მიიღო. ლაგოდნებში და ზაქათალაში ნამდვილი აჯანყება მოხდა და მსხვერპლიც ბევრი იყო. იქ მოქმედობდა რუსის ჯარის ნაწილები. კახეთში ბევრი ოჯახი ვადმოასახლეს, წნორის წყალზე ჩამორეკეს და როცა ვაგონებში ათავსებდნენ, მამაკაცებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, დედაკაცები კი, როგორც შეფიცულები, არც ერთი მატარებელში არ ჩაჯდა და ერთხმად მოითხოვეს საკუთარ ფუძეზე დაბრუნება. ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა აფციური, მაშინდელი კახეთის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარე. მან კატეგორიულად მოსთხოვა დედაკაცებს, რომ დამორჩილებოდნენ ბრძანებას და როცა უარი უთხრეს და ლანძღვა გინებით შეამკეს, მან და მისმა ჩეკისტებმა სროლით უპასუხეს, რის შედეგი იყო რამდენიმე ათეული ქალის და ბავშვის დახოცვა. დანარჩენები ტფილისში ჩამოიყვანეს. მთელი ყარაიანი ისახანის მეთაურობით იარაღით ხელში შეებრძოლა ხელისუფლებას და საჭირო გახდა ჯავშნიან მატარებლის და რუსის ჯარის გაგზავნა აჯანყების სალიკვიდაციოთ. ამ პირველმა იერიშმა სოფელზე დიდი მტკივნეული ხასიათი მიიღო ყველგან და ნამეტურ რუსეთში. მარტო მოსკოვის რაიონში, ერთი კვირის განმავლობაში, გლეხებმა ნაჯახებით დაუპეს თავი სამასამდე კომუნისტს და სწორედ ამ ამბებით დამფრთხალმა სტალინმა დასწერა ცნობილი «გოლოვოკრუენიე ოტ უსპეხვო». ამ წერილით სტალინი ამტკიცებდა, რომ კრემლი ბავშვზე უმანკო არის და ყოველივე, რაც მოხდა სოფლად, არის ადგილობრივი ხელმძღვანელების «გოლოვოტიპობის» ბრალი. არ დარჩენილა მთელ კავშირში ერთი კუთხე, სადაც არ შეეცვალათ პარტიული მდივნები.

ჩვენში ამ კამპანიის მსხვერპლები გახდნენ კრიციკი (ამ.კავ. მდივანი), კახიანი (საქ. ცეკა) და მრავალი სხვები. ხელმძღვანელების შეცვლას მოჰყვა კოლექტივების დაშლა, გადასახლებულების უმეტესი ნაწილის უკან დაბრუნება და ნაწილობრივ წართმეული ქონების უკან ჩაბარება. გლეხებს მაშინ სრულიად ცინიკურად ეუბნებოდნენ, რომ სტალინი წინააღმდეგია კოლექტივიზაციის. იმ დროს ეკუთვნის გლეხების სიმღერა:

«ერთი ბოთლი ღვინო მქონდა, მივალიე მწვანისაო, კოლექტივის დანგრევისთვის ვენაცვალე სტალინსაო».

ლომინაძის მოხსნის შემდეგ, 1930 წლის ნოემბერში, ამ.კავ. კომიტეტის მდივანად დანიშნეს ქართველიშვილი. იმ დროში სტალინის მარცხენა კურს ატარებდა გააფთვებით. ამ კურსის ერთი მაჩვენებელთაგანი იყო მეორე გენერალური იერიში სოფელზე, მთლიანი კოლექტივიზაციის მოხდენის მიზნით და სრულიად განმანადგურებელი სახალხო მეურნეობისთვის ხორცის დამზადება. ხორცის ნაკლებობამ რუსეთში ქრონიკული ხასიათი მიიღო. კოლექტივებს ხორცის ჩაბარებაში შედგავათები მიანიჭეს და ინდივიდუალურ მეურნეებს მარტო ერთი ძროხა რომ ჰყოლოდათ, ისიც უნდა ჩაებარებიათ მთავრობისთვის. ამ გარემოებამ გლეხი აიძულა კოლექტივში შესულიყო და ცოტა რამ მინც გადაერჩინა კარზე მომდგარ მოძალადესაგან. კრემლის კონტრიბუცია ისე უზომო იყო, რომ სულ რომ გაგვენადგურებია ძირითადი ჯოგები, მინც ვერ დაეკმაყოფილებდით. უნდა დაგვემზადებია ამ.კავკასიაში 4 მილიონი ფუთი ხორცი და 363.000 ცალი ღორი (აქედან 214.000 საქართველოში, 100.000 სომხეთში და 50.000 აზერბაიჯანში). ფუთ ხორციში ლებულობა გლეხი 4 მან. 50 კ., ტყავი უფასო უნდა ჩაებარებია. გლეხები იხვეწებოდნენ: ტყავი დაგვიტოვეთ საქალენეთ და ხორცი უფასოთ დაიღეთო. იმ დროს კერძო ბაზარზე გირვანჯა ხორცი ფასობდა 2 მან.

ხორცის გარდა საქართველოს უნდა დაეზადებია 2 მილიონი ფუთი სიმინდი. უნდა აღენიშნო, რომ 1930 წელი მოუსავლიანი წელი იყო დასავლეთ საქართველოში, რადგან ხშირი წვიმების გამო სიმინდის 80 პროც. დაიღუპა. გლეხობა, ისედაც სიმშობილით და მოუსავლიანობით წელში გაწყვეტილი, სრულიად გაფითრებული დარჩა მთავრობის ასეთი ულტიმატუმით, რომელიც ავალდებულებდა მას სიმინდი, ფუთი 1 მ. 45 კ. ჩაებარებია (იმ დროს ბაზარზე ფუთი სიმინდი 30 მან. ფასობდა და უბრალო წულა ღირდა 150 მან.). აქ მეურნეულ მიზანშეწონილებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ასეთი უანგარიშოთ მეურნეობის განადგურება ყველასათვის ცხადი იყო გარდა სტალინის ფინიებისა. პირდაპირი ბრძანება დამზადების ჩასატარებლად მიიღო კოოპირაციამ. მე მაშინ ამ.კავ. კოოპირაცია ვხელმძღვანელობდი და შევეცადე ჯერ სიტყვიერად, მერმე წერილობით დამემტკიცებია საოლქო ხელმძღვანელობისთვის შეუძლებლობა ამ დამზადების ჩატარების, რომ მისი ცხოვრებაში გატარება ნიშნავდა მესაქონლეობის სრულ განადგურებას და მთელი გლეხობის ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებას. აქვე უნდა აღენიშნო, რომ ამ.კავკ. რესპუბლიკანური მთავრობები დიდი წინააღმდეგი იყვნენ მისი შესრულების, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობა შეურიგებლობას იჩენდა და მოითხოვდა საჩქაროთ სისრულეში მოყვანას. პასუხად ჩემი ცდებისა, საოლქო კომიტეტმა მე ბრალი დამდო მემარჯვენე გადახრაში და «ზარია ფოსტოკას» საშვალეობით საყვედური გამომიცხადა დამზადების წინააღმდეგობის გაწყვეისთვის.

(შემდეგი იქნება)

კვილიძე ვაკაბაძე.

### ძაბოთული ოფისის ირგვლივ

ჩვენ ემიგრაციის ზოგიერთ წრეებში ხშირად გაიგონებთ საყვედურს, თითქო ოფისის სათანადო სიმაღლეზე არ იდგეს და თავის დანიშნულებას რივიანად ვერ ასრულებდეს. ამ საყვედურების გამო ჩვენ მივმართეთ ოფისის დირექტორს, ვსთხოვეთ განმარტება. უკანასკნელმა სიამოვნებით გაგვაცნო საქმის მთელი მდგომარეობა, გადავინაშალა მთელი მიწერ-მოწერა ხელისუფლების სათანადო ორგანოებთან და საბუთებით დაგვარწმუნა, რომ საყვედურს არავითარი საფუძველი არა აქვს.

— ჩვენი ოფისის იურიდიული მდგომარეობა, განვიმარტა ბ.ნმა ს. ასათიანმა, დიდათ განსხვავდება რუსების და სომხების ოფისების ასეთსავე მდგომარეობისაგან; ამ უკანასკნელთა სტატუტი ერთა ლიგის მიერ იყო მიღებული თავის დროზე და შემდეგ აქ დაკანონებული პრეზიდენტის დეკრეტით. ჩვენი ოფისის მდგომარეობა მხოლოდ ფაქტიურია, რაც ყოველ მოხელეს თავისებურად ესმოდა; ამ ნიადაგზე ბევრ გაუგებრობას ქონდა ადგილი. მაგალითად ზოგი მოხელე უწერდა ქართველს კარდიდანტიტში, რომ იგია რუსის ლტოლვილი შთამომავლობით ქართველი და მოითხოვდა მისგან ეგრედ წოდებულ ნანსენის გადასახადს. ამასთანვე ჩვენგან მოითხოვდნენ, რომ ჩვენ მოწმობები მიგვეცა მხოლოდ იმ ლტოლვილთათვის, რომელნიც სისხლით არიან ქართველნი და ოფისის დირექტორის ხელის მოწერა შემოწმებული ყოფილიყო კომისარიატში (ასეთი წესი არსებობს რუსების და სომხების ოფისებისათვის). ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ თავიდანვე იქნა გადადგმული ენერგიული ნაბიჯები. ამ უკანასკნელის შედეგათ ჩვენ მივიღეთ სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხი საგარეო საქმეთა მინისტრისაგან. ამ პასუხში ორი რამ არის ნათლად აღნიშნული: პირველი—ქართველებს უნდა ეწოდოთ ქართველი ლტოლვილი შთამომავლობით ქართველი და არ იქნეს მათ კარდიდანტიტში თუ სხვა ქალაქებში აღნიშნული ისეთი სიტყვა, რომელსაც შეუძლია კაცს აფიქრებოს, რომ ქართველი ლტოლვილი დაკავშირებულია რუსის ლტოლვილთან ან უკეთ რომა ვსთქვათ ქართველი და რუსი ლტოლვილი ერთი და იგივეა. მეორე განსხვავება, ამბობს სამინისტროს ნოტა, რომელიც არსებობს ამ ორ ლტოლვილთა შორის და რაც გამოიხატება იმაში, რომ პირველებს ე. ი. რუსებს აქვთ ნანსენის პასპორტი, ხოლო ქართველებს, როგორც მათმა ოფისმა ითხოვა, «ტიტრ დიდანტიტე ე დე ვოიაჟ», ამ განსხვავებამ არ უნდა შეუშალოს ხელი, რომ მეორეთ ე. ი. ქართველებს ექნეთ იგივე უფლებები, რაც პირველებს. ამიერიდან ქართველებს შეუძლიან ისარგებლონ ყველა ის უფლებები, რასაც რუსებს ანიჭებს იურიდიული სტატუტი. ამაში ჩვენ დიდი დახმარება გავიწიო სხვებთან ერთად, რომელთა დასახელება აქ საჭირო არ არის, განსვენებულმა პ. რენოდელმა, მ. მუტემ და შ. პამარემ—დეპუტატებმა, რომელნიც დიდი მადლობის ღირსნი არიან.

— ამის გარდა, დასძინა ბ-ნმა დირექტორმა— მე შემიძლია გაცნობათ კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი. როგორც მოგესხენებათ მოსალოდნელია, რომ ამ მოკლე ხანში ბელგიაშიც იცნოს საბჭოთა კავშირი. ამის გამო ბ-ნმა ნ. ყორდანიამ ემ. ვანდერველდეს საშუალებით ბელგიის მთავრობის თავმჯდომარეს გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც განმარტებულია საქართველოს იურიდიული უფლებები და მიქცეულია ყურადღება იმ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქნება ბელგიაში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილებისათვის საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ. ამ დღეებში ბელგიის მთავრობის თავმჯდომარის პასუხი გვამცნო იმავე ემ. ვანდერველდემ, ამ პასუხიდან ვტყობილობთ, რომ მხედველობაში იქნება მიღებული ბ-ნ ნ. ყორდანის მემორანდუმში გამოთქმული სურვილები; კერძოდ ბელგიაში მცხოვრები ქართველი ლტოლვილები ისარგებლებენ იმავე უფლებებს, რომელსაც ისინი სარგებლობენ საფრანგეთში და ბელგიის ხელისუფლების ორგანოები მიიღებენ ქართველ ლტოლვილებისაგან კანონიერ საბუთად საფრანგეთში არსებულ ქართულ ოფისის მიერ გაცემულ მოწმობებს.

ზემო მოყვანილიდან ცხადია, რომ ჩვენს ოფისს გაუკეთებია ყოველივე, რის გაკეთებაც კი შეიძლება და არსებულ პირობებში და ის საყვედურები, რომელიც მის მიმართ ასე დაუშვასურებლათ გაისმის, მხოლოდ ხელს უშლის მის მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

**26 მაისი პარიზში**

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციამ წელს 26 მაისის დღესასწაული გამართა საფრანგეთის პარო-კლუბის საუცხოო დარბაზში. დღესასწაულს დიდძალი ხალხი დაესწრო. ქართველობის გარდა დღესასწაულზე საკმაოდ იყვნენ წარმოდგენილი სომხეთი, ადერბეიჯანი, მთა და უკრაინა; იყვენ აგრეთვე ჩვენი ფრანგი მეგობრები, მათ შორის ფრიად გავლენიანი პირებიც.

როდესაც სტუმრების მოსვლა დასრულდა, ასოციაციის თავმჯდომარემ ბ-ნა დ. სხირტლაძემ მოკლე მგრძობიარე სიტყვით მიმართა როგორც თავის თანამემამულეთ, ისე საქართველოს მეზობლების წარმომადგენელთ და ჩვენს უცხოელ მეგობრებს.

ქალბატონებო და ბატონებო, მსგავსად წინა წლებისა დღეს საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაცია დღესასწაულობს 26 მაისს, ქართველი ხალხის მიერ, მთელი საუკუნის უცხო უღლის ქვეშ ყოფნის შემდეგ, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენობის აღდგენის გამოცხადებას. ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ რამდენი მწუხარება ახლავს თან დღევანდელ დღესასწაულის სიხარულს იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ტერიტორია დღესაც დაკავებულია უცხო ქვეყნის სამხე-

დრო ძალებით, რომელიც მიუხედავად თავდაუსხმელობისა და კეთილ მეზობლობის პატივისა, მოლატურად, ამის გამოუცხადებლად შემოესია ჩვენს ქვეყანას და დაიპყრო ამ თოთხმეტი წლის წინეთ.

მაგრამ დღევანდელ დღესასწაულს მაინც აქვს ჩვენთვის თავისი აზრი და მნიშვნელობა, ვინაიდან იგი ქართველ ხალხს უღვიძებს და უმაგრებს მომავლის იმედს, უძლიერებს რწმენას, რომ მისი ეროვნული მისწრაფება ბოლოს მაინც გაიმარჯვებს.

ისტორიული ჭეშმარიტებაა, გარდაუვალი კანონია, რომ ხალხი, რომელსაც აქვს თავისი მიწა-წყალი, თავისი საუკუნოების ისტორია, როგორც ქართველი ხალხს, თავისი კულტურა, ეროვნული ტრადიციები და რომელსაც უნდა იყოს თავისი უფალი,—არ კვდება არასოდეს მიუხედავად იმ დაბრკოლებათა, რომლებიც შეიძლება მას გადაელობონ თავის პოლიტიკურ განვითარების გზაზე. ადრე თუ გვიან იგი მაინც შესძლებს გამოვიდეს თავისი ეროვნულ განვითარების სწორ გზაზე და აღიღვინოს დროებით დაკარგული ეროვნული სუვერენობა.

თავისი ისტორიის მრავალ საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხალხს მრავალჯერ უნახავს სხვადასხვა ჯურის დამპყრობელები, მაგრამ მას ყოველთვის დაუწევია თავი ამ დამპყრობელებისაგან, უნახავს მათი მარცხი და მათი დაქვეითებაც. არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ იგივე არ მოუვა მის დღევანდელ დამპყრობელებს, რომელნიც, როგორც ყველა დამპყრობელი საზოგადოთ, და დღევანდელნი განსაკუთრებით. თავის საშოში ატარებენ ნიშნებს თავის აუცილებელ მახლობელ დაშლისა.

მე აღვნიშნე თქვენ წინაშე ჩემი თანამემამულეების ღრმა და შეურყვეველი რწმენა ქართველი ერის მომავლის შესახებ; ამ რწმენასა და იმედებს კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ ამ ჩვენს ეროვნულ მანიფესტაციოში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის მეზობლები და მეგობრები. მე გულისხმობ სომხეთს, ადერბეიჯანს, მთას და სახელგანთ უკრაინას, რომელნიც საქართველოსავით მსხვერხლნი არიან ერთი და იმავე აგრესიული ძალისა, და რომელთა წარმომადგენლები დღეს აქ მოვიდენ არა მარტო იმისთვის, რომ ჩვენ გამოგვიცხადონ თავისი სიმპატიები, არამედ უფრო იმისთვისაც, რომ თავისი დასწრებით ერთხელ კიდევ დაადასტურონ დაჩაგრულ ხალხთა ძმური ერთობა, მათი მოძრაობის ნათესაობა და მისწრაფებათა ერთი და იგივეობა: ამ ხალხების ხელახლად განთავისუფლება ახლო მომავალში.

მე გულითადად მივესალმები სომხეთის, ადერბეიჯანის, მთის და უკრაინის წარმომადგენლებს.

წოდელის გულით მივესალმები აგრეთვე ჩვენს ერთგულ მეგობრებს ფრანგებს და ყველა სხვებს, რომლებიც მოვიდენ აქ, მიიღეს მონაწილეობა ჩვენს დღევანდელ დღესასწაულში და გვაუწყეს თავისი სიმპატიები ჩვენი ეროვნულ საქმისადმი.

ქალბატონებო და ბატონებო, მაღლობას გწივრავთ ყველას და ვაპყრობ რა თვალებს ჩემს თანამემამულეებისაკენ, ვათავებ ჩემს სიტყვას ქართული



ტრადიციული სალამით: გაუმარჯოს საქართველოს.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს სომხეთის სახელით ბ. ნ. ა. ხატისიანმა, ადერბაიჯანის—ალი ათამოვმა და უკრაინის—პროფ. შულგინმა. უკანასკნელად ვრცლად ილაპარაკა საქართველოზე და უსურვა მას მალე განთავისუფლება ფრანგმა კოლონელმა კოკემ.

სტუმრებს ხვდებოდნენ და მასპინძლობდნენ ყოფილი ელჩი ბ. ნ. ა. ჩხენკელი და ასოციაციის თავმჯდომარე ბ. ნ. დ. სხირტლაძე. დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სასტუმრო მაგიდასთან იჯდა მეზობლების წარმომადგენლებით და უცხოელ მეგობრებით გარშემოხვეული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ნ. ყორდანია.

დღესასწაული დასრულდა ცეკვითა და სიმღერით. დამსწრე საზოგადოება დაიშალა დიდათ ნასიამოვნები.

### წერილი ამერიკიდან

კვირას 26 მაისს აქაურ ქართველ საზოგადოებამ იდღესასწაულა დამოუკიდებლობის დღე. წინა წლებშიც საზოგადოება მართავდა ტრადიციულად წმინდა ნინოს და დამოუკიდებლობის დღეობებს, მაგრამ ეს ხდებოდა შინაურად. ამ წელს კი საზოგადოების უმრავლესობამ გადასწყვიტა დღეობისთვის უფრო ოფიციალური ხასიათი მიეცა და უცხოელებიც მოეწვია.

აქაურ განსაკუთრებულ პირობების გამო ეს გადაწყვეტილება ცოტა სახიფათოდ მიგვაჩნდა. შეერთებულ შტატებში მხოლოდ სამოცამდე ქართველი გვევლინება, ნიუორკში კი ორმოცამდე არ აღის. თუმცა ქართველები ძალიან მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი და ერთსულოვნებას იჩენენ (რასაკვირველია, როგორც ამერიკელები იტყვიან, გაუმჯობესობისთვის კიდევ არის ალაგი დარჩენილი), მაინც გვეშინოდა, ჩვენი სიცოტავე და სისუსტე (ფიზიკურად და სულიერად) თავს იჩენდა. გამოურკვეველი იყო სტუმრების ფიზიონომია-მიმართულება ამისთანა დღეობისთვის. უნდა მოგვეწვია თითქმის ყველა ნიუორკში მყოფ კავკასიის ერების წევრები, მეგობრები ამერიკელები და ზოგიერთი რუსები. უკანასკნელებში ბევრი მეგობრულადაა ქართველებთან, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობა დღემდე მაინც ვერ მოუწელებიათ.

აი ამისთანა სიტუაციაში ერთი მუჭა ქართველობა უნდა დახვედროდა ასზე მეტს გამორუკვეველ სტუმარს და თავის დამოუკიდებლობა უნდა აღენიშნა, არა მუსიკალურ ან ლიტერატურულ საღამოზე, არამედ ბანკეტზე, სადაც თავისი აზრი თითქმის ყველას უნდა გამოეთქვა—მასპინძელს და მოწვეულსაც.

სადილი იყო გამართული ერთ-ერთ ნიუორკის საუკეთესო ნაწილში მდებარე რესტორანში «Caucasian Eagle»-ში («კავკასიის არწივი»), რომელიც უკრაინის ბ. სილამონ ერისთავს.

დღის სამ საათზე თავი მოიყარა ორასამდე ქალმა და კაცმა. ბანკეტის წესრიგს და მოლაპარაკეთა სიას განაგებდა ბ. ერისთავი, რომელმაც შესაფერი სიტყვით გახსნა ბანკეტი და პირველი ოფიციალური სიტყვა მისცა ქართველ საზოგადოების თავმჯდომარეს ბ. ვასილ დუმბაძეს. ბ. დუმბაძემ კარგად დაახსიათა მნიშვნელობა და მიზანი დღესასწაულისა და მოუწოდა ყველა კავკასიის ერებს ერთობისკენ და დამოუკიდებლობისკენ.

მერე ილაპარაკეს და ქართველ საზოგადოებას მოულოცეს სომხების საზოგადოების თავმჯდომარემ ექიმ ალაჯანიანმა და ექიმ ბაღდასაროვმა. მთიელების მხრით სიტყვა წარმოსთქვა კადირ სულთან სულხან გირეიმ. მას მოყვა სიტყვები შეერთებულ რუსთა ორგანიზაციების თავმჯდომარის ბ. პავლე ჭავჭავაძის, რუს მხედართა თავმჯდომარე დენერალ იმნაძისა და აზერბაიჯანელ დენერალ ვედიგაროვის. ქართველებიდან ილაპარაკეს ირაკლი ორბელიანმა, პავლე კვარაცხელიამ, ალექსანდრე თარსაიძემ (განსვენებულ გიორგი მაჩაბლის ქარხანის დირექტორია) და ალექსანდრე ჯაყელმა. ამერიკელებიდან ქართულ საზოგადოებას მოულოცა ბ. ჯულიერ ჩევალიემ, «ნოეს შვილის შვილების» წიგნის დამწერმა.

ჯერ კიდევ ჩვენი ბანკეტის დრო მიწურული არ იყო, როცა სომხების განსაკუთრებული დელეგაცია მოვიდა ბატონ ვ. ავარონიანის, სომხეთის რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტის, შვილის მეთაურობით, რომელმაც გრძნობიერ სიტყვით მოგვილოცა დღესასწაული.

ამავე დროს ნიუორკშივე სომხების საზოგადოება დღესასწაულობდა დამოუკიდებლობის დღეს, რომელსაც გაეგზავნა ჩვენგან მიმლოცველი პირები.

საერთო აზრი ყველა ორატორებისა ის იყო, რომ ზოგი ქირი მარგებელიაო. იმიტომ დავმარტნით, რომ ცალ-ცალკე ვიბრძოდით და მოუწოდებდნენ მქიდრო კავშირისათვის დამოუკიდებლობის მოსაპყებლად...

სინამდვილემ მოლოდინს გადააქარბა. ჩვენი ბანკეტი საუცხოვოთ ჩატარდა. ასეთი წარმატების ერთ ერთი მიზეზია ის ვარემოება, რომ ამ უკანასკნელ ოთხ-ხუთ წლის განმავლობაში აქაურმა ქართველებმა დიდი შრომა გასწიეს თავის საზოგადოების დაარსებისა, მის სათანადო სიმალეზე აყვანისა და პრესტიჟის მოპოებისთვის. საზოგადოება, ვარდა ორგანიზაციული მუშაობისა, საზოგადოებრივ ყოველ შემთხვევას—საღამოების გამართვას, ქორწილს, დასაფლავებას, და სხვა—რომ გამოეჩინა გაბედულათ, მაგრამ ზომიერად, სხვა ერებთან თავისი ერის ისტორიული კულტურა, მისი სიძლიერე და თავისი ურყევი გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის აღსადგენად.

სჯობია არ დავმალეთ: იყო დრო, საზოგადოების დაარსების პროცესში, როცა ქართველ საზოგადოების წევრობა ზოგიერთებს ეჩოთიერებოდათ, დღეს ისინი ამაყობენ თავის ქართველობას.

არაოფიციალური მხარე ბანკეტისა დამშვენებული იყო მრავალ მეგობრულ სიტყვებით და ქართულ ცეკვა-სიმღერებით.

გონივრული სიტყვა წარმოსთქვა მსახიობ ქ-ბ. გაიანე ზარდალიშვილისამ, აგრეთვე მსახიობმა და სცენარისტმა ბ. ნიკიტა ბალიევმა, რომელმაც გვიამბო, როგორ გადაარჩინა სიკვდილს საქართველოს პასპორტმა.

საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ქ-ბ. ქარინგ-ტონი «როსტომელას» მთარგმნელი, ბაგრანტიონთა შთამომავალი ქ-ბ. თამარ გრუზინსკაია-ისლაგინა, ქ-ბ. ნინო ჟაქუაფაძისა, ქ-ბ. ნორინა კარმი მაჩაბლისა, ქ-ბ. ჯ. ჩევალიე, ქ-ბ. და ბ. გეცლორი—«ნიუორკის ტიამისი» რედაქტორი, და სხვანი...

ნაუთი.

### პ ა ნ ა შ ვ ი დ ე ბ ი

1. კვირას 16 ივნისს პერ ლაშეხის სასაფლაოზე მრავალმა ქართველობამ მოიყარა თავი განსვენებული კარლო ჩხეიძის საფლავთან და პატივი სცამის ხსოვნას. სიტყვა წარმოსთქვა ბ. ინჭკირველმა. საფლავი შემკული იყო ცოცხალი ყვავილებით და ვარდებით.

2. კვირას 23 ივნისს ქაქუტა ჩოლოყაშვილის საფლავზე გადახდილ იქნა მრავალი საზოგადოების თანადასწრებით პანაშვიდი. პანაშვიდი გადაიხადა ბერძნის მღვდელმა და გალობდა ქართული გუნდი პ. მოსულიშვილის ხელმძღვანელობით. პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კალონის თავმჯდომარემ დ. სხირტლაძემ, რომელმაც მოკლედ აღნიშნა განსვენებულის დიდი ღვაწლი და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

### პ ა რ ტ ე ვ ე ლ ე ბ ი ს ა ზ რ ა ნ გ ე თ შ ი

ექიმმა გიორგი ჭაქიაშვილმა პარიზის საექიმო ფაკულტეტზე დაიცვა თეზა «Tumeurs papillaires du bassinet et de l'uretère» (მისი სამეცნიერო გამოკვლევა ჭაქების ავადმყოფობის შესახებ ამავე სათაურით დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე რამდენიმე თვის წინეთ), და მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი.

როგორც ვიცით, ექიმი გ. ჭაქიაშვილი რადმენიმე წელიწადია მუშაობს წმ. ჟოზეფის საავადმყოფოში გამორჩენილ ქირურგის ედმონდ პაპენის ასისტენტად და მას მეტად კარგი სახელი და პატივისცემა აქვს მოხვეჭილი როგორც საექიმო პერსონალისა, აგრეთვე პაციენტთა შორის.

სათუზო კომისიის თავმჯდომარე იყო გამოჩენილი პროფესორი-ქირურგი ა. გოსსე, რომელმაც ბ. ნ. გ. ჭაქიაშვილს მიულოცა და უსურვა მხნეობა სამეცნიერო გამოკვლევების მუშაობაში.

### წ ა რ ი ლ ი რ ე დ ა კ ტ ი ი ს მ ი მ ა რ ტ

ბ ა ტ რ ნ დ რ ე დ ა კ ტ რ დ !

«თეთრი გიორგის» № 87-ში დაბეჭდილია ბ. ნ. გობეჩიას წერილი, რომელშიაც იგი ამა თუ იმ პირის შეთხზულად აცხადებს პარტიათა წარმომადგენლების კოლეგიის დადგენილებას. ჩემს მოვალეობათ ვთვლი სიმართლის აღსადგენათ განაცხადო შემდეგი:

სოც.-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლებმა დასვეს პარტიათა კოლეგიაში ბ. ნ. გობეჩიას საკითხი და განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ თანამშრომლობა ბ. ნ. გობეჩიასთან. ამ საკითხის ირთვლივ მსჯელობას და დავას რამდენიმე სხდომა მოუხდა და სანამ საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა, კოლეგიაში შემოვიდა სოც.-რევოლუციონერთა პარტიის თავმჯდომარის ბ. ნ. ნუცუბიძის განცხადება, რომ ბ. ნ. ი. გობეჩია არ გამოხატავს პარტიის აზრს და ამიერიდან მის მოქმედებაში იგი პასუხს არ აგებს. კოლეგიამ, მოისმინა რა ეს განცხადება, დაადგინა, რომ «ამ უამად სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას არ ყავს წარმომადგენელი კოლეგიაში».

პარტიათა წარმომადგენლების სხდომის

თავმჯდომარე კ. ქავთარაძე.

### პ ა რ ტ ე ვ ე ლ ე ბ ი პ ო ლ ო ნ ე თ შ ი

პოლონეთის ეროვნულ გმირის იოსებ პილსუდსკის დაკარგვის საერთო გლოვაში კავკასიელთა კალონიამ ფართო მონაწილეობა მიიღო: გაეგზავნა დეპეშები განსვენებულის ქვრივს, მთავრობის თავმჯდომარეს, სამხედრო მინისტრს და გენერალს რიბ-სმიგლას; შეამკეს მიცვალებულის კუბო ვერცხლის გვირგვინით, ეროვნული დროშებით, მონაწილეობა მიიღეს სამგლოვიარო პროცესიაში ეროვნული დროშებით და გაიმართა საგანგებო კრება ი. პილსუდსკის ხსოვნის პატივსაცემად.

15 მაისს ქართულმა კომიტეტმა გადაიხადა ქართულად პანაშვიდი მართმადიდებელთა საკათედრო ტაძარში, რომელსაც დაესწრო პოლონეთის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და აგრეთვე ჩვენი მეზობლები და უკრაინელები. პანაშვილის დაწყების წინ მღვდ. გრ. ფერაქემ წარმოსთქვა პოლონურად შესაფერი სიტყვა, რომლითაც დაანასიათა მარშალის როლი პოლონეთის ერის ცხოვრებაში.

უკანასკნელ სიმბოლიურ აღლუმში მონაწილეობა მიიღო კავკასიის ემიგრაციამ თავის დროებით.